140
1983

ISSN 0132—5973

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

8
1983



ცისკრელებმა ყვავილებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი

# და, აი, კვლავ გვიხმო «ცისკარმა» ჩვენ

მანანა გელაშვილი

„ცისკრის“ X რესპუბლიკურ ფინალს წინ უძღოდა ნორჩ არმიელთა სასკოლო, სარაიონო, საქალაქო და საოლქო შეჯიბრებები. სწორედ მათი შედეგების მიხედვით დადგენილმა 21 საუკეთესო რაზმმა მოიპოვა ფინალურ ასპარეზობაში ძალის მოსინჯვის უფლება. გაძლიერებულმა მზადებამ ამ გოგო-ბიჭებისათვის რამდენიმე ხნით გადასწია უკვე დამდგარი საზაფხულო არდადეგების უდარდელობა. ნორჩებს სერიოზული საზრუნავი გაუჩნდათ — იხვეწებოდა სამწყობრო ნაბიჯი, ბრუნები, მტკიცდებოდა და ღრმავდებოდა თეორიული ცოდნა, სწორდებოდა მომზადებაში არსებული ხარვეზები. ვინ იცის მერამდენეჯერ ისინჯებოდა აღჭურვილობა, ჯარისკაცური მათარები, აირწინაღები, სანიტარული ჩანთები, მესამეჯერ და მეხუთეჯერ მოწმდებოდა, უთოვდებოდა საპარადო ფორმა და პიონერული ყელსახვევი...



საზეიმო მომენტის მოლოდინში გაირინდნენ თამაშის მონაწილენი

ყველა გულის ფანცქალით ელოდა „ცისკრის“ რესპუბლიკური თამაშის სარდლის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილის არასამხედრო მომზადების დარგში, გენერალ-მაიორ ი. დ. ზაიცევის ბრძანებას და აი, ისიც:

„...1983 წლის 12-17 ივნისს ჩატარდეს რესპუბლიკური ფინალი ფოთში.



# «ცისკარი» 83

17.462

რესპუბლიკურ ფინალში მონაწილეობის უფლება მიენიჭა „ცისკრის“ სარაიონო, საქალაქო და საოლქო შეჯიბრებებში გამარჯვებულ მეშვიდეკლასელ ნორჩ არმიელთა 21 საუკეთესო რაზმს, ესენია — თბილისის 63-ე და 103-ე სკოლები; ქუთაისის მე13 სკოლა; გორის მე-7 და გორის რაიონის სოფ. ახრისის სკოლები; ბათუმის მე-7 სკოლა; ჯავის სკოლა-ინტერნატი; ფოთის, მახარაძის, ახალციხის 1-ლი სკოლები; ქვედა საქარის (ზესტაფონი) სკოლა; ბოლნისის და სამტრედიის მე-2 სკოლები; გარდაბნის მე-4 სკოლა; ტყვარჩელის მე-3 სკოლა; მცხეთის 1-ლი სკოლა; ხობის მე-2 სკოლა; ჩოჩხათის (ლანჩხუთი) სკოლა; შუამთის (ვანის) სკოლა; ტყიბულის 1-ლი სკოლა; ქარელის 1-ლი სკოლა...“

გულღიად შეხვდა პირღიმილიანი მასპინძელი, დიდი შრომითი და სამხედრო-საზღვაო ტრადიციების მქონე ფოთი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ხუთასამდე ნორჩ არმიელს, მათ სამხედრო ხელმძღვანელებს, მასწავლებლებს. დიდმა ქალაქმა თითქოს იბარტყაო იმ დღეებში, გრ. მალანიას სახელობის სტადიონზე კარვების მოზრდილი ქალაქი „ცისკარი-83“ გაჩნდა. ხუთ დღეს ცხოვრობდა იგი არმიული ცხოვრებით, ხუთ დღეს ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს რაზმები საზრიანობაში, გამბედაობაში, გამძლეობაში, ამტანიანობასა და მოხერხებულობაში.

პირველი დღის პირველი ნახევარი



და აი, ანძაზე „ცისკრის“ ალამი აფრიალდა.

დაბანაკება-დაბინავებას მოუნდა. თამაშის მონაწილენი 62 კარავში განლაგდნენ, თავისი ადგილი მიეჩინა შტაბს, საველე სამზარეულოსა და ჯარისკაცურ სასადილოს. მეორე დღისთვის დანიშნული საზეიმო გახსნის მოლოდინში ფაქიზად დაიკეცა და გადაიკიდა ცისკრელთა პარადული ფორმები, კარვების კალთებქვეშიდან ჭვინტები გამოყვეს წყობისად ჩამწკრივებულმა სხვადასხვა ზომისა და ფერის ფეხსაცმელებმა...

იმავ საღამოს ნორჩმა არმიელებმა ადგილებზე გაწეული თავდაცვითი-მასობრივი და სპორტული მუშაობის შესახებ უპატაკეს თამაშის რესპუბლიკურ შტაბს. მეორე დილით ცისკრელებმა ყვავილებით შემკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი, ხოლო შუადღისას რუსთაველის სახელობის მოედანზე შედგა პიონერთა საკავშირო სამხედრო-სპორტული თამაშის X რესპუბლიკური ფინალის საზეიმო გახსნა. იმავე დღეს ნორჩ არმიელებს საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს. ისინი ეწვივნენ ციტრუსების საბჭოთა მეურნეობას, ლუდისა და ხილეული წყლების ქარხანას, ხარისხის სახლს, ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ-გემთმშენებელ ქარხანას. ნასადილევს კი დაიწყო ფინალის პროგრამით გათვალისწინებული სამწყობრო მომზადებისა და სიმღერების დათვალიერება. ცისკრული მრავალჭიდის ამ პირველი სახეობის შემდეგვე ნათელი გახდა. რომ, თუმცა ფინალური შეჯიბრებისათვის ყველა გულმოდგინედ ემზადებოდა, მომზადების დონის შეფასება ყველასი ერთნაირი ვერ იქნებოდა. მტკიცე და უზადო იყო ლამაზ, ყვითელ ფორმაში გამოწყობილი ნორჩი გორელების ნაბიჯი, დახვეწილი და შეუცდომელი იყო ქარელელთა ყოველი მოძრაობა. მკა-



ეს ნორჩი მეკავშირე ახლა დავალებას მიიღებს და გუნდის დანარჩენ წევრებს გადასცემს.

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველკვირეული საგაზეთო ჟურნალი
გამოდის 1926 წლიდან
პიონერი
8 აგვისტო 1983
საქ ალკკ ცკ-ის გამომცემლობა

საქ. ს. ს. რ. ... ბიბლიოთეკა



თავისუფალ დროს ნორჩები ფოთის ელექტრო-აპარატის ქარხნის მშრომელებს ეწვივნენ.

ევ მრავალი სხვა ასობით სამშობლოს დამცველი, საკუთარი სიცოცხლის ფასად რომ მოუპოვეს თაობებს მშვიდობა და ნათელი დღეები. მათი სამარადისო ხსოვნის ნიშნად აღიმართა ფოთში ეს დიდებული მემორიალი, ასე მოწიწებითა და კრძალვით რომ შეამკეს დაფნითა და ყვავილებით ნორჩმა არმიელებმა. ცისკრელებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი დაღუპულთა ხსოვნას და ფიცი დადეს, რომ სამშობლოს ღირსეული დამცველები იქნებიან.



ბევრი რამ არის დამოკიდებული აზიმუტის სწრაფ გარკვევაზე.

ცრი რანჟირი და დისციპლინა გამოარჩევდა ბოლნისელთა მწყობრს და მაინც ყველას ფოთელებმა აჯობეს, სწორედ მათ დაიმსახურეს ჟიურის უმაღლესი შეფასება — 79 ქულა. ფოთელებმა სროლაშიც იმარჯვეს, საერთო გუნდურ წარმატებას დაემატა რაზმის მეთაურის მანანა ლაღიძის პირადი მიღწევაც და ფოთელებმა თითქოს მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი ლიდერთა შორის. მაგრამ ლიდერს კვალში ჩაუდგნენ ტრადიციულად კარგად მომზადებული გორელები, ჯაველები, გარდაბნელები, ქარელელები, ბათუმელები. სანამ მსროლელები საბადას ველზე არკვევდნენ, ვინ იყო მათ შორის საუკეთესო ჩუბინი, მდინარე კაპარჭინაზე მოწყობილ საწყალჯომარდო ბაზაზე ნორჩი მოცურავეები ცდიდნენ ძალებს. და თუმცა ზოგიერთი რაზმების წარმომადგენლებმა არც-თუ ისე ცუდ დროში დაფარეს დისტანცია, შეჯიბრებამ დაამტკიცა, თუ რაოდენ დაბალია ჩვენი რესპუბლიკის მოზარდთა შორის სპორტის ამ სახეობის დონე. ამის მიზეზად კვლავ და კვლავ საცურაო აუზების და ვარჯიშისათვის საჭირო პირობების უქონლობას ასახელებენ, და ეს თითქოს არის კიდეც გასამართლებელი მიზეზი, მაგრამ აი, ნორჩმა გორელებმა დაამტკიცეს, რომ „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმება". არც გორელებსა აქვთ სპორტული აუზი, მაგრამ მათ ქალაქის ტურბაზის ტერიტორიაზე არსებული მომცრო საჭყუმპალაო აუზები გამოიყენეს სავარჯიშოდ. გორის გუნდის ყველა წევრმა უკლებლივ მიიღო ჩათვლა ცურვაში. საბოლოოდ კი ცურვაში ქუთაისელთა რაზმი გამოვიდა გამარჯვებული. პირად ჩათვლაშიც ყველაზე უკეთესი შედეგი ქუთაისელმა თემურ პატარიძემ აჩვენა.

ნორჩი არმიელები მამა-პაპათა გმირობის პატივისმცემელნი და საბჭოთა ხალხის საბრძოლო ტრადიციების ერთგულნი არიან. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ მიტინგ-რეკვიემზე, რომელიც ფოთის დიდების მემორიალთან გაიმართა. ფოთელები იყვნენ პეტიკო პირტახია, ძმები ცააველი, ვანო გაბუნია, ძმები კარტოზიები და კიდის წუთიერი დუმილიც, ის დაფნაც და ყვავილებიც ნორჩი თაობის მადლიერების სიმბოლო გახლდათ, მადლიერებისა იმათ მიმართ, ვინც სამშობლოს ბედნიერებასა და თავისუფლებას შეეწირა. ამავე დროს ეს ჩვენი სახელმწიფოს მშვიდობისმოსურნე საგარეო პოლიტიკის მხურვალე მხარდაჭერის და ომის გამჩაღებელთა მისწრაფებების დაგმობის თავისებური გამოხატულება იყო...

დღე დღეს მისდევდა, შეჯიბრების ერთი სახე მეორეს ცვლიდა. ძვირფასი ქულები მოუტანეს თავთავიანთ რაზმებს სანიტრებმა, მეკავშირეებმა, მეხანძრეებმა, მზვერავებმა, მოძრაობის ინსპექტორებმა, მძღოსნებმა. დაჯამდა სამოქალაქო თავდაცვის, სამედიცინო-სანიტარული მომზადების, საგზაო მოძრაობის წეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების ცოდნის, ავტომატის დაშლა-აწყობის ტექნიკის ფლობის მაჩვენებლები. მონაწილეთა უმეტესობამ მტკიცე თეორიული ცოდნა, საზრიანობა, პრაქტიკული ჩვევების ფლობა და კარგი ფიზიკური მომზადება გამოამჟღავნა. მერე ბოლო ქულებიც დაიწერა, საბოლოო შედეგებიც დაჯამდა და საპრიზო ადგილებიც განაწილდა.

საერთო პირველი ადგილი და „ცისკრის" საკავშირო ფინალში მონაწილეობის უფლება გორის მე-7 სკოლის ნორჩმა არმიელებმა მოიპოვეს. მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე შესაბამისად ფოთელები და გარდაბნელები გავიდნენ. სიტყვას ვაძლევთ გამარჯვებულებს.



ეს პირმოცინარი გოგო-ბიჭები რესპუბლიკურ ფინალში გამარჯვებული ქ. გორის ბუნდის წევრები არიან.

ა. ზასეევი, გორის მე-7 სკოლის რაზმის მეთაური: — რა თქმა უნდა, ძალიან გახარებულები ვართ. ჩვენი რაზმი ძალზე მეგობრული და ერთსულოვანია. ფინალისათვის ყველანი დიდი გულმოდგინებით ვემზადებოდით და სადღაც იმედიც გვქონდა, რომ სხვებს არ უნდა ჩამოვრჩენოდით. შეჯიბრების მეორე-მესამე დღეს კი ჩვენმა გოგო-ბიჭებმა ირწმუნეს, რომ ძალა შესწევდათ საპრიზო ადგილებისათვის ებრძოლათ. ახლა ჩვენ საკავშირო ფინალში მონაწილეობა გველის ქალაქ დნეპროპეტროვსკში, ვეცდებით, თავი არ შევირცხვინოთ.

ა. ვოლკოვი, სამხედრო ხელმძღვანელი: — ასე მგონია, ბავშვებზე მეტად მე მიხარია-მეთქი. იმ რვა თვის განმავლობაში, რაც მე ამ სკოლაში სამხედრო საქმე მიმყავს, ჩვენ ძალიან დავმეგობრდით. ეს მეშვიდეკლასელი გოგო-ბიჭები ჩემთვის ძალიან ახლობლები გახდნენ. მადლობელი ვარ მათი და მჯერა, რომ მათ მეტი წარმატების მოპოვებაც ძალუძთ, რამეთუ გულმოდგინებას, სიბეჯითეს, შრომასა და დისციპლინას ყოველთვის გამარჯვება მოსდევს.

თ. ფსუტური: — ჩვენ „ცისკრის" მრავალჭიდის თითქმის ყველა სახეობაში სტაბილურ შედეგებს მივაღწიეთ. კარგად იასპარეზეს ჩვენმა მეხანძრეებმა, საგზაო ინსპექტორებმა, მზვერავებმა, მეკავშირეებმა, მსროლელებმა, ასე რომ, საერთო გამარჯვებაში ყველამ ერთნაირი წვლილი შეიტანა. ჩვენ ძალიან გვეამაყება, რომ არ ვუღალატეთ გორელ ნორჩ არმიელთა ტრადიციებს და წარმატებით ვიასპარეზეთ რესპუბლიკურ ფინალში.

მაშ ასე, „ცისკრის" X რესპუბლიკური ფინალი დამთავრდა. შეჯიბრების ხუთი დღის განმავლობაში ნორჩმა არმიელებმა ბევრი რამ ახალი ისწავლეს, გაიღრმავეს და გაიმდიდრეს ცოდნა, ფიზიკურად გაკაჟდნენ და გამოიწვრთნენ, შეიძინეს ახალი მეგობრები, გაეცნენ ჯარისკაცურ ყოფას. თამაშმა გამოამჟღავნა რესპუბლიკის სკოლებში მიმდინარე სამხედრო-პატრიოტული და ფიზიკური აღზრდის ყველა დადებითი მხარეცა და ნაკლიც.

რა მისცა „ცისკარმა" ფინალური თამაშის მონაწილეებს? გადავხედოთ საბრძოლო ფურცლებს, რომლებიც ნორჩმა არმიელებმა შეჯიბრების მსვლელობის დროს გამოუშვეს.

„...ჩვენ ვისწავლეთ ჯარისკაცური ფარაჯის პატივისცემა"...

„...თუმცა კოლოებმა ძალიან შეგვაწუხეს, ჩვენ ამ გამოცდასაც გავუძელით, ბევრი რამ ვისწავლეთ და შევიგენით"...

„...სამუდამოდ დაგვამახსოვრდება შეხვედრები სამამულო ომის ვეტერანებთან და შრომის მოწინავეებთან..."

„ცისკარმა" კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ყოველი ჩვენგანი მზად უნდა იყოს სამშობლოს დასაცავად..."



ფინალის საუკეთესო მონაწილეთა სიმარჯვე და საზრიანობა სპეციალური პრიზებით აღინიშნა.

ვ. ბოსიკაშვილისა და ა. კავკასიძის ფოტო



მეც ბევრს ვფიქრობ. — ბიძინა ფეხით კენჭს მიაგორებდა. — პროფესია ისე უნდა აირჩიო, რომ მერე ცხოვრებაში არ ინანო. რაკი ამქვეყნად გაჩნდი, შენი კვალი უნდა დატოვო.

— დღეს ეს ძნელია. მე თუ მკითხავ, შეუძლებელიც, — ეჭვი შევიტანე ბიძინას ბრძნულ ნათქვამში.

— რატომ?! რა არის აქ შეუძლებელი?!

— აღმოსაჩენი თითქმის არაფერი დარჩა. კოსმოსშიც დაგვაგვიანდა.

— რას ამბობ, კოსმოსი ჩვენ გველის. მისი ათვისება ეს-ესაა დაიწყო. ეგეც რომ არა, აღმოსაჩენი და გასაკეთებელი აქაც უამრავია. ცხოვრებას ჯერ ბევრი რამ სჭირდება, რომ ისეთი გახდეს, როგორიც უნდა იყოს.

— ეგ ადვილია. ყველამ პატიოსნად უნდა აკეთოს ის საქმე, რაც მას ევალება, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება.

— ადვილი კი არა, ყველაზე ძნელი ეგაა. ერთია, უნდა იყოს, უნდა აკეთონ, მაგრამ რომ არ აკეთებენ? ვინაა დამნაშავე? — ბიძინა სახეში შემომცქეროდა. მე მხრები ავიჩეჩე.

— გითხრა? — გაცხარდა ბიძინა.

— მითხარი.

— შენ, მე, დათო — ყველა!

— ეს როგორ?!

— შენ, მე, ქეთი, ჯუმბერი, ნათია, გურამი, ნინო და მერი ყოველდღე ოცდახუთ-ოცდახუთ კილოგრამს ვკრეფთ, სხვები კი თორმეტ-თხუთმეტ კილოგრამს. და თან წუწუნით გუნებას გვიფუჭებენ. ფიზიკურად რომელი ერთია ჩვენზე ნაკლები. არც ერთი. ორ ჩვენოდენ

# ყელში ჩარჩენილი ნაკვერჩხალივით

ზაალ ბაბალუა

მხატვარი

გივი პეტრიაშვილი

მოთხრობა

ულუფასაც მიირთმევენ და პრეტენზიებიც მათ აქვთ. ხმას კი არავინ იღებს.

— ამას კომკავშირმა უნდა მიხედოს.

— ასეა, რამეს დაიჩივლებ და იმ წუთში მოგახლიან, კომკავშირმა აღზარდოს, კომკავშირმა მიხედოსო.

— აბა, შენ გინდა, მე დავიწყო მათი აღზრდა?

— რატომაც არა. თუ გინდა, ცხოვრება იდეალური იყოს, უნდა აღზარდო. ასეთების მიმართ ახლა რომ გულგრილი იქნები, მერე თავს გავლენ. ეკალი ძირშივე უნდა ამოიძირკვოს!

— ნუ ცხარობ, ისე ვილაპარაკოთ. ჯერ ერთი, მე ვინ მკითხავს, მეორეც, შენ კომკავშირის მდივანი ხარ და სხვა პოზიციებიდან ლაპარაკობ.

— არავითარი სხვა პოზიციები. კომკავშირიო, რომ ამბობ, მარტო მე ხომ არა ვარ კომკავშირი. კომკავშირი ხართ ყველანი, მაგრამ ამის გაგება არ გინდათ. „რა ჩემი საქმეა, სხვამ აკეთოს, სხვამ გამოასწოროს მანკიერება", — აი რას ფიქრობთ.

— შენ მართალი ხარ, ასე რომ მიუდგეს ყველა, მაშინ მართლაც იდეალური იქნება ცხოვრება, მაგრამ მე ის მაკვირვებს, ყველა რატომ არ ფიქრობს ასე? ჩვენ ხომ ერთ საზოგადოებაში, ერთნაირად ვიზრდებით. თუნდაც, შენი თქმისა არ იყოს, ჩვენი კლასი ავიღოთ. მე, შენ, ქეთი ფრიადოსნები ვართ. ოთარი, ვახტანგი, ჯემალი და სხვები ძლივს ასწრებენ. არადა, ნამდვილად ყველამ ვიცით, რომ უკეთ სწავლა შეუძლიათ, თუ გაირჯებიან, მაგრამ, რომ არ სწავლობენ? ასეა ცხოვრებაშიც. აი, ავიღოთ თუნდაც ამ მეურნეობის აგრონომი ჯამლეტ ჯგვიშია. სასახლე აიშენა, სიძეს ქორწილის ღამეს „გაზ-

---

გაგრძელება. იხ. „პიონერი" № 7.

24“-ის გასაღები ჩააბარა, თბილისში ოთხოთახიანი ბინა აუშენა. მამაჩემიც მეურნეობის დირექტორია, მაგრამ შენც კარგად იცი, როგორ ვცხოვრობთ.

— ჯამლეთები ერთეულებია.

— სწორედ ეს ერთეულებია, ცხოვრებას რომ აფუჭებენ.

— მათ მალე მოეღებათ ბოლო! — გამოუტანა განაჩენი ბიძინამ.

გზას ერთხანს უხმოდ მივყვებოდით. სოფელში ბლავილით შემოდიოდა ნახირი. კლუბის ეზოდან სიმღერა და მხიარული ხმები ისმოდა.

და უცებ ბიძინას ვეკითხები:

— ბიძინა, ქეთი როგორი გოგოა?

ბიძინამ მშვიდად შემომხედა თაფლისფერი, ჭკვიანი თვალებით.

მე კი ძალიან გამიკვირდა, რატომ ვკითხე-მეთქი. მე ხომ სულაც არ მიფიქრია, რომ ეს მეკითხა. ვიგრძენი, როგორ ვწითლდებოდი. ბიძინას წუთიერი დუმილი კი საუკუნედ მეჩვენა.

— ქეთევანი ზღაპარი გოგოა! — სერიოზულად და დინჯად მითხრა მან. ეს იყო ბიძინას უმაღლესი შეფასება. რატომღაც ისეთი სიხარული ვიგრძენი, სიმღერა მომინდა. გაურკვეველი, რაღაც უცნაური განწყობა ერთბაშად დამეუფლა. რაღაცნაირად თითქოს ავმაღლდი. ახლა ყველაფერი, რასაც მზერა მიუწვდებოდა — ჩამავალი მზის სხივებით ფერილი კავკასიონი, მწვერვალებზე დაზვინული, დაპენტილი ბამბის ქულებივით ღრუბლები, მომწვანო ცარგვალი და მიწაზე გაფენილი ხასხასა ფერები, თითქოს ჩემი საკუთარი სულის ნაწილი გახდა, რომელიც თავისკენ მიხმობდა. თითქოს ერთბაშად ვიგრძენი ჩემი სიდიდეც და უმწეობაც. ადრე მსგავსი არაფერი მიგრძვნია. მე ვიყავი ძლიერი, დიდი, ამაღლებული, იმიტომ, რომ ყველაფერს ვგრძნობდი, ვხედავდი და აღვიქვამდი, უმწეო იმიტომ, რომ არ შემეძლო საკუთარი სულის ძახილს მივყოლოდი.

— ბიძინა, იცი, რა მინდა?

— მაინც რა?

— მინდა ფრინველივით გადავუფრინო იმ მწვერვალებს, გადავიხედო თვალსაწიერს იქით, იმ ღრუბლებში გავერიო, კარგად ვერ გამომითქვამს.

— ხშირად ფიქრობ ასეთ რამეებს?

— შენ არ მოგენატრებია ასეთი რამ?

ბიძინამ მოწყალედ გამიღიმა და მხრები აიჩეჩა.

— ნიკაა, ბიძინაა, წამოდით ჩქარა! — სასადილოს წინ დათო იდგა და მთელი ხმით გვეძახდა...

●

მეორე დღეს, ნავახშმევს, მეურნეობის კლუბში სოციალისტური შრომის გმირთან და მოწინავე კომკავშირელებთან მოგვიწყვეს შეხვედრა. საღამო მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა გახსნა და მანვე გაგვაცნო გმირის ბიოგრაფია. გმირი დაბალი, ჩაფსკვნილი კაცი იყო, დიდი თავი და ღაჟღაჟა სახე ჰქონდა, როცა მომხსენებელი მასზე ლაპარაკობდა, ისეთი გამომეტყველებით გვიყურებდა, თითქოს გვებოდიშებოდა, მაპატიეთ, ჩემს გამო რომ შეწუხდითო. მერე იქაურმა მეცხრეკლასელმა გოგონამ წაიკითხა გმირისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი. ბოლოს თვითონ გმირს მისცეს სიტყვა. ტრაბახს არ მოყოლია: ეს გავაკეთე, ის გავაკეთე, ქვეყანა ავაშენე, ასე და ისეო. ორიოდე სიტყვა თქვა: პატიოსნად ვშრომობდი და დამაფასესო. მადლობა გადაიხადა და დაჯდა.

მერე შრომის დამკვრელი, მექანიზატორი ქალიშვილი გამოვიდა. ხელადვე შეატყობდით, რომ მაგარი გოგო იყო. თურმე მშობლები ნებას არ აძლევდნენ ტრაქტორისტობა ესწავლა. განსაკუთრებით მამა ყოფილიყო წინააღმდეგი, რა ქალის საქმეა ტრაქტორისტობაო. მაგრამ მე მაინც ჩემი გავიტანეო. სოფელში ბევრმა ქალიშვილმა მომბაძა და დღეს ჩემს კომკავშირულ ბრიგადაში რვა მექანიზატორი გოგონააო. მერე იმაზე ილაპარაკა, თუ რამდენი ტონა ჩაი მოკრიფა მისმა ბრიგადამ, რამდენი ჰექტარი მიწა მოხნეს და სასუქები შეიტანეს. მართლაც რომ ყოჩაღი გოგონები ყოფილან. ქების მეტი, აბა ვის რა ეთქმოდა!

ახლა ახალ ფილმს გიჩვენებთო, გამოაცხადა პარტიული ორგანიზაციის მდივანმა.

დარბაზი ოვაციით შეხვდა ამ ცნობას. ამ დროს წინა სკამიდან ქეთი ჩვენკენ შემობრუნდა და თქვა:

— არ მინდა კინო. ხომ არ წავიდეთ?

— სად? — იკითხა ბიძინამ.

— გარეთ, ჰაერზე.

— წავიდეთ! — წამოვხტი მე.

— თუ არ გეწყინებათ, მე დავრჩები, — გვითხრა ბიძინამ.

გარეთ გადასარევი ღამე იყო. კლუბის წინ საცეკვაო მოედანი გადავიარეთ და ცენტრალურ გზაზე გამოვედით.

— გული ხომ არ გწყდება კინოზე? — ქეთი ფრთხილად შემეხო მკლავზე.

— არა. რას ამბობ.

მართლაც სულ არ დამწყვეტია გული.

— ნიკ, ღამით მარტო თუ ყოფილხარ ზღვაზე?

— არა.

— იცი, რა კარგია? ამ ზაფხულს ყოველ საღამოს მარტო დავდიოდი ზღვაზე. ჩვენი ბინიდან, სადაც ვისვენებდით, იქვე, ორ ნაბიჯზე იყო. ფეხშიშველა გადავირბენდი ეზოს, თბილ ქვიშაზე დავჯდებოდი და ვუსმენდი ზღვას. ისეთი გრძნობა მიჩნდებოდა, ზღვას ყველაფერი ესმის ჩემი და საცაა დამელაპარაკება-მეთქი. — გიკვირს არა?

— რა?

— რომ ასეთ სისულელეებს გელაპარაკები.

— რასაც შენ ამბობ, სულაც არ მეჩვენება სისულელედ.

— რა ვიცი. გამიგია, ბიჭებს არ უყვართ, როცა გოგო-

ები ფილოსოფოსობენო. თუ ასეა, მითხარი და არ ამოვიღებ ხმას.

— მე კი ძალიან მიყვარს, როცა გოგოები ჭკვიანურ რამეს ლაპარაკობენ, — დავამშვიდე.

— ნიკ, გინდა, ტბაზე ავიდეთ?.

— ავიდეთ! — გამიხარდა მე. გზას გავუდექით. სადღაც ძაღლი ყეფდა, რომელიღაც ღამის ფრინველი კუთავდა, საკუთარ არსებობას ეხმიანებოდა, სულმოუთქმელად ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინები, კრუალებდნენ კრუალები და მაინც უცნაური მყუდროება იდგა. მთვარის სხივებში ალანდული მუქლურჯი კავკასიონი ირეალურს ჰგავდა. ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს ფანტასტიკურ სამყაროში მივაბიჯებდით... მერე მთავარი გზიდან ბილიკზე გადავუხვიეთ. მწვერვალზე ავედით და შევჩერდით. ორმოციოდე მეტრზე, დაქანებულ კალთებს ქვემოთ მშვიდი და იდუმალებით ჩაქუფრული ტბა მკერდგადაღეღილი შესცქეროდა მთვარეს. თავდაყირა დაკიდული მთვარე, ვარსკვლავები და ხეთა ჩრდილები ნებანება ტორტმანებდნენ წყალზე.

— რა ლამაზია! — წამოიძახა ქეთიმ და სირბილით ჩაუყვა ბილიკს. მე რომ ჩავედი, იგი უკვე ტბის ნაპირას ლოდზე იდგა. მკლავები გაეშალა, თითქოს ცას ეხუტებაო, თავი უკან გადაეგდო და მთვარეს შესციনოდა. ძალიან ლამაზი იყო, ჩამოღვრილ თმებში თითქოს ვარსკვლავები ებნია.

— ნიკ, გინდა ლექსი წაგიკითხო? — ისე მითხრა, ჩემკენ არ მობრუნებულა.

— მინდა.

წუთით ხმა არ ამოუღია, მერე წყნარად დაიწყო:

— შეღამდა. მე წავალ იქ, სადაც სიზმრები
წიგნებში დარდობენ დახუჭულ თვალებით,
ჰანგები დაქრიან, ვით ქარში ისრები,
და სული ფითრდება ნათელის ცვალებით.
წავიდნენ ლანდები — მეორე, მესამე...
და ღამე დაჭრილი ფრთებივით დაქანდა,
შენ იცი, შენ იცი, მე როგორ ვეწამე?
როდესაც მე მოველ, არავინ არ ჩანდა!
მე მქონდა ვაზაში ვარდები მრავალი
უცხო და შორეულ მდინარის ნაპირთა,
არ იყო იქ მხოლოდ ნაცნობი ყვავილი,
იდუმალ ძახილით ღამით რომ დამპირდა...

გაჩუმდა. ღმერთო, როგორ მიცემდა გული! ლოდზე შემდგარი, იგი თითქოს მთვარის სხივებისაგან იყო შექმნილი და ზღაპრულ ფერიას მაგონებდა. ქეთი ჩემკენ შემოტრიალდა, ლოდიდან ჩამოირბინა და მითხრა:

— მოგეწონა?

— ძალიან. ვისია?

— გალაკტიონის. ამ ზაფხულს გალაკტიონის მეტი არაფერი წამიკითხავს. რა ლამაზია აქაურობა, არა?

— კი, ძალიან ლამაზია.

— წავიდეთ, ნიკ, თორემ გვიანაა.



ქეთი წინ მიდიოდა, მე უკან მივყვებოდი. გზაზე გამოვედით და ქეთი მეუბნება:

— იცი, ამ ზაფხულს ვინ შემხვდა ბიჭვინთაში?

— ვინ?

— გივი. ჩვენსკოლელი. შარშან მე-10-ბ რომ დაამთავრა. არ გახსოვს?

გივის რა დამავიწყებდა, თავისი სილამაზით თავი რომ მოჰქონდა. მართლაც ლამაზი იყო, მაგრამ არც ისეთი გასაგიჟებელი, როგორც თვითონ ეგონა. მოსწავლის ფორმით იგი სკოლაში არ მინახავს. მასწავლებელთა უმრავლესობას არ ეპუებოდა. საქმე ის გახლდათ, რომ იგი ჩვენი რაიონის ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკის შვილი იყო. ეტყობოდა, ოჯახში ანებივრებდნენ და სკოლაშიც თავს გასდიოდა. იცვამდა უკანასკნელ მოდაზე და კოვბოური ფილმის გმირივით დაიჯგიმებოდა. შესვენებებზე დერეფანში ან ეზოში დადგებოდა და თავის სამიჯნურო თავგადასავლებს ყვებოდა. ამაში ფანტაზია, იცოცხლეთ, ჰქონდა. ვერ ვიტანდი მას და ქეთისგან მისი სახელის ხსენება ძალიან არ მესიამოვნა. პირი გამიშრა.

— მერე? — შევეცადე, რაც შეიძლებოდა გულრგილი ხმა მქონოდა.

— „ჟიგული" უყიდია. ორჯერ შემომთავაზა მანქანით გასეირნება, მაგრამ სკოლაში ჭირივით მძულდა და მაგ უტვინოს მანქანაში ჩავუჯდებოდი? ისე გამინაწყენდა, მერე გამარჯობასაც აღარ მეუბნებოდა.

ერთბაშად შვება ვიგრძენი. რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ ველარაფერი ვერ მოვიგონე. თავი რაღაც უაზრო სიტყვებით მქონდა გამოტენილი. ერთხანს ასე მივაბიჯებდი წყნარად და უხმოდ. მერე ღამის მყუდროება ხმამაღალმა სიცილმა და შეძახილებმა დაარღვია.

— კინო დამთავრდა, — თქვა ქეთიმ.

— ხო! — ვთქვი და გავიფიქრე: „ბოთე, ხო კი არა, დიახ!"

●

დილით წვიმის ხმაურმა გამომაღვიძა. ფანჯარას გავხედე. მოღუშული, მობღვერილი სივრცე იმზირებოდა ოთახში. გამიკვირდა, ასე ერთბაშად როგორ შეიცვალა ამინდი!

— უჰ, რა კარგია! — ლოგინიდან წამოხტა ოთარი და ფანჯარასთან მირაცრაცდა.

— მაგრად წვიმს? — ბალიშიდან თავი წამოსწია ვახტანგმა.

— იცოცხლე.

— მაშ, დაგვისვენია დღეს! — გაიზმორა ნოდარმა.

— ნეტავ, სანამ აქ უნდა ვიყოთ, ასე იწვიმოს! — ინატრა ვახტანგმა.

— ახლა ზოგიერთს ჰკითხე, რა გუნებაზე დადგება, ღამე რომ ვერ ისეირნებს! — ოთარმა მზერა ჩემკენ გამოაპარა.

— ვინ იცის, თბილისში როგორი ამინდია, დღეს ხომ ფეხბურთია, — თქვა ჯუმბერმა.

— წააგებენ ჩვენები, — საწოლზე წამოჯდა ლევანი.

— გაგიხმეს ეგ უტვინო გოგრა. ასე იყო წინა თამაშზეც, წააგებენ, წააგებენო, ყვავივით ჩხაოდა. — გაბრაზდა ნოდარი. — ხომ იცი, რა წუნკალი ენის პატრონი ხარ, ხმას ვერ ჩაიწყვეტ? — და ბალიში ესროლა. ლევანმა ბალიში ჰაერში დაიჭირა და უკანვე დაუბრუნა. მერე ატყდა აურზაური. დაფრინავდნენ ბალიშები, შარვლები, პერანგები...

ეს ალიაქოთი, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა, რომ ოთახში დამრიგებელი არ შემოსულიყო...

ნასაუზმევს ბიჭების ნაწილი კლუბში მაგიდის ჩოგბურთის სათამაშოდ წავიდა, უმეტესობამ კი ტელევიზორის საყურებლად წითელ კუთხეს მიაშურა. მე ოთახში ამოვედი, ჩემოდნიდან „მარტინ იდენი" ამოვიღე, ლოგინზე წამოვწექი და კითხვა დავიწყე.

უცებ, კარზე დააკაკუნეს, მერე კარი ფართოდ გაიღო და ოთახში ქეთი შემოვიდა. კარი ღია დატოვა.

წამოვდექი და ტანისამოსი გავისწორე.

— ტელევიზორს რატომ არ უყურებ, რაღაც კარგ ფილმს უჩვენებენ.

— არ მინდა.

— რას კითხულობ?

— „მარტინ იდენს".

— არ წამიკითხავს.

გამიხარდა, რომ წაკითხული არ ჰქონდა.

— ძალიან კარგია.

— მათხოვებ?

— ცოტა დამრჩა, ერთ საათში მოგცემ.

— რა, პერანგზე ღილები აგაწყდა?

— გუშინ დავკარგე, ფრენბურთის თამაშის დროს.

— ახლავე მოვალ! — ქეთი ოთახიდან გავიდა. მე ფანჯარასთან მივედი. უკვე აღარ წვიმდა. თუმცა ცა ისევ ისე პირქუშად იმზირებოდა. მოედანზე რამდენიმე კაცი ქალაქის ავტობუსს უცდიდა.

— აბა, მოდი! — ქეთი ისევ შემოვიდა. მაგიდაზე კოჭი დადო და ნემსით და ძაფით მომიახლოვდა. პერანგს ხელი წაავლო და ღილი მიუსადაგა. — ჰო, ზუსტად ასეთია.

იგი თავდახრილი აკერებდა ღილს. ისე ახლოს იყო, თმები სახეზე მეხებოდა. საოცრად ვგრძნობდი, რა სურნელება ჰქონდა მის თმას, რომელიც კულულებად ეყარა მხრებზე. რატომღაც საუკუნედ მეჩვენა დრო, სანამ ღილებს დააკერებდა. ქეთიმ ორივე ღილი დაამაგრა, ძაფი კბილით გაწყვიტა და ღიმილით ამომხედა.

ერთბაშად ისეთი სითბო ჩამეღვარა სხეულში, მეგონა, გავდნები-მეთქი. გული უცნაურად შემიფართხალდა.

— ქეთი! — წავიჩურჩულე.

— ჰო, ნიკ! — თვითონაც ჩურჩულით მიპასუხა.

— რა ლამაზი თვალები გაქვს, ქეთი!

— სულელო!

საფრთხენაკრავი შველივით შეტოკდა, ყელი მოიღერა და ოთახიდან გავარდა.

მეც გამოვვარდი და კისრისტეხით დავეშვი კიბეზე.



პლანტაციიდან ყველაზე ბოლოს დამრიგებელი, ნინო, ნათელა, მე და გურამი გამოვედით. ოფლისაგან პერანგი ტანზე მეწებებოდა და გულს მირევდა. უჩვეულოდ ცხელი დღე იყო ის დღე — რვა სექტემბერი. ივლისში არ ყოფილა ასეთი გაგანია სიცხე. უკვე ექვსი საათი სრულდებოდა, მაგრამ ჰაერი არ იძვროდა და, როგორც გახურებულ თონეში, სუნთქვა ჭირდა.

ეზოში, საერთო საცხოვრებლის წინ და სახანძრო აუზთან ჩვენები წუწაობდნენ. მათი სიცილ-კისკისი, გოგონების წიოკობა იქაურობას აყრუებდა.

სატვირთო მანქანა ფარდულთან მომდგარიყო და მძღოლი და ბრიგადირი ჩაით სავსე ყუთებს ძარაზე აწყობდნენ.

— გიორგი, ხომ არ იცი, დღეს რამდენი იყო ტემპერატურა? — ჰკითხა დამრიგებელმა ბრიგადირს.

— რადიომ ოცდათვრამეტი გამოაცხადა, ბატონო ზურაბ, მაგრამ ორმოცდაოთხიც იქნებოდა, უეჭველად ორმოცდა-ოთხი!

მწონავმა ქალმა ჩვენი მოკრეფილი ჩაი ყუთებში ჩაყარა.

— ბატონო ზურაბ, თქვენთან დიდი თხოვნა მაქვს და... — სიტყვა არ დაამთავრა ბრიგადირმა.

— თუ რამ შემიძლია, უარს როგორ გაკადრებ, ჩემო გიორგი.

— საშინლად მაქვს აწეული ეს ოხერი წნევა, სახლამდე თუ მივაღწევ, არა მგონია. არადა, მაინცადამაინც დღეს არ მოვიდა ის მამაძაღლი ბიჭი — მძღოლის დამხმარე. მძღოლი კი ყუთებს მარტო ვერ გადმოტვირთავს ფაბრიკაში, ამიტომ იქნებ რომელიმე თქვენი ბიჭი დამახმაროთ. ხვალ სამუშაოდანაც გავათავისუფლებ და 30 კილოგრამ ჩაისაც მივცემ.

— მე წავყვები, მასწ! — გურამს თვალები გაუბრწყინდა.

ზურაბ მასწავლებელმა უარის ნიშნად თავი გაიქნია და მე შემომხედა.

— ნიკა, წახვალ?

— კი, პატივცემულო.

— მაშინ გაიქეცი და ისადილე.

— იქ ვჭამთ. ჩვენი რიგი სანამ მოვა, ხუთჯერ ისადილებს კაცი, — თქვა ბიჭიკომ, მანქანის მძღოლმა. იგი 20-21 წლისა თუ იქნებოდა, როგორც კი დროს იშოვიდა ჩვენთან გამორბოდა ჭადრაკის და ფეხბურთის სათამაშოდ.

— შენი ჭირიმე, არ შეგაწუხებდი, მაგრამ იმის თავიც არა მაქვს, ვინმე მოვძებნო.

— რა შეწუხებაა, — ვთქვი მე.

ჩაის მიმღებ პუნქტში რომ მივედით, ყუთებით გავსებული მანქანების ნახევარკილომეტრიანი რიგი უკვე იდგა. ჩაბარებას ღამის ორ საათზე მოვრჩით. ჩვენს უკან კიდევ საკმაოდ დიდი რიგი დამდგარიყო.

— ეს ხალხი როდისღა ჩააბარებს? — გაკვირვებულმა ვკითხე ბიჭიკოს.

— დილის ხუთ-ექვს საათზე მორჩებიან.

— მერე, ასეა ყოველდღე?

— სეზონში ყოველთვის ასეა.

— გაძლება არ გინდა?!

— მაშ, კაცო. მეხუთე თვეა, ასეთ დღეში ვართ. ღამე ორი საათის ძილი არ მიწევს ხოლმე.

დღესავით ნათელი, მთვარიანი ღამე იყო. ბიჭიკოს შუქფარი არც კი ჩაურთავს. რაში სჭირდებოდა, ლარივით სწორ, მოასფალტებულ გზაზე ნემსიც კი გამოჩნდებოდა.

საუბარში გზა შეუმჩნევლად გავლიეთ, მეურნეობამდე ალბათ ორი კილომეტრიც არ იქნებოდა დარჩენილი, რომ უცებ მოტორი ახიხინდა, ერთხანს იხროტინა, მერე კი დადუმდა.

— ბენზინი გაგვითავდა! — თქვა ბიჭიკომ და კაბინიდან ჩამოხტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი დროშა

ჩვენი დროშა ალისფერი
მზის სხივებით ნაფერია,
ფერად-ფერად პირმოხატულს
ზედ მშვიდობა აწერია.

ეს თავთავი ლაღად შლილი
ნაყოფია ძმური შრომის,
ეს ჩაქუჩი, ეს ნამგალი —
მეგობრობა ხალხთა შორის.

მიტომ მიყვარს მე ეს დროშა,
მიტომ მიყვარს ასე მტკიცედ:
მე სამშობლოს ერთგულება
ამ დროშაზე დავიფიცე.

## თქვენთან ერთად

მალხაზებო —
უთენია ამღერდებით,
გაბრწყინებულ
თვალთა ისრებს
მზისკენ ისვრით,
გსურთ მოსტაცოთ
ნათელ ზეცას
შუქი ცისკრის,
ციდან მოსჩქეფს
მოლივლივე
შადრევნები.
მინდა ვიყო
თქვენთან ერთად
მეც პატარა...



# ლიდია მეგრელიძე 100

ცნობილი საბავშვო მწერლის ლიდია მეგრელიძის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა.

ლიდია მეგრელიძე აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ „პიონერში“. ამ ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული მისი ლექსები, მოთხრობები ნორჩ მკითხველთა საერთო მოწონებით სარგებლობდა; კოეტი ქალის არაერთი ლექსი პოპულარულ საყმაწვილო სიმღერებად იქცა.

გთავაზობთ ლიდია მეგრელიძის რამდენიმე ლექსს.

წლები მხოლოდ
სახეს სუსხავს,
გულს კი — არა!

## ია და ბავშვები

ნუ შემახებ პაწია ხელს,
ნუ, ნუ-მეთქი, ჩემო კარგო,
ის არა სჯობს, გავიფურჩქნო
და ბაღნარი მოგიქარგო?

მეც შენსავით პატარა ვარ,
გამახარებს შენი ცქერა.
ახლო დაჯექ, გამაგონე
მხიარული შენი მღერა.

## ჭიკ-ჭიკ, ჩემო მერცხლებო!

ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ, მერცხლებო,
კუდრაჭებო, ცელქებო,
საიდან მოფრენილხართ
ასე დილაადრიან,
მთებისა და ზღვების იქით
გვიგულებდით დარდიანს.
სამშობლოში მოფრენამ
გაგინათათ თვალები?
აი, ფართო მინდვრები,
აი, მწვანე ჭალები,
ლურჯი ცა და ჩანჩქერი,
მიწა ოქროს მზიანი...
თქვენთვის მუდამ მზადა მაქვს
სიტყვა ალერსიანი.
ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ, მერცხლებო,
კუდრაჭებო, ცელქებო!

მეც ჩამოვხტი, კარი მივკეტე და ბიჭიკოს მივყევი.

— ვედრო რად გინდა?

— სახლში მაქვს ბენზინი, აქედან ორ ნაბიჯზეა.

მალე ბიჭიკოს სახლს მივადექით.

— თუ არ გჭირდები, მე წავალ, ბიჭიკო.

— სად უნდა წახვიდე, ჩემთან დარჩი, კაცო!

— არა, დამრიგებელს შეეშინდება!

— მაშინ დამიცადე, ბენზინს ჩავასხამ და წაგიყვან.

— რად მინდა, ორ ნაბიჯს ფეხით ველარ გავივლი?

— აბა, არ გაგაცილო?

— რად მინდა, გოგო ხომ არა ვარ? — ვიწყინე. — ღამე მშვიდობისა!

— კარგად იყავი, ნიკა!

გზას დავადექი. ბაყაყების ყიყინი, ჭრიჭინების ჭრიჭინი და კრუალების კრუალი თითქოს რბილად ეწყმოდა ღამის მყუდროებას.

საოცარ სიმსუბუქეს ვგრძნობდი, აი, ისეთს, კაცს რომ გგონია, მკლავებს გავშლი და გავფრინდებიო. რაღაც მიხაროდა, რაღაც მავსებდა და მალაღებდა. რატომღაც ქეთი გამახსენდა და ისევ გარკვევით დავინახე მისი მოღიმარე თვალები.

იმ დღეს მალე წავიკითხე „მარტინ იდენი“ და სადილობამდე ჩავუტანე ქეთის წიგნი. კიბეზე ჩავდიოდი და თან გული მისკდებოდა, ვაითუ, ნაწყენია-მეთქი. მაგრამ სულ ტყუილად ვშიშობდი თურმე. დიდი სიხარულით შემხვდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, საწყენი რა ვაკადრე, მაგრამ გოგონების ამბავი ხომ იცით, ზოგჯერ უმიზეზოდაც შეუძლიათ გიშარონ. წიგნი დიდის ამბით გამომართვა და მერე თვალი აღარ მომიკრავს მისთვის...

დასასრული შემდეგ ნომერში



საქართველოს პიონერული ორგანიზაციის ისტორიის მუზეუმის საზეიმო გახსნა.

# საქართველოს პიონერული მატიანის ფურცლები

ვანო ცერცვაძე
ა. კოტორაშვილის ფოტო

ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა პიონერული ორგანიზაციის ისტორიის მუზეუმი. აღსრულდა პიონერმუშაკთა მრავალი თაობის ოცნება, საქართველოს პიონერიის მატიანის ფურცლებმა ერთად დაიდო ბინა პიონერთა სასახლეში. მართალია, მუზეუმის ექსპოზიცია ჯერჯერობით მხოლოდ ერთ დარბაზშია განლაგებული, მაგრამ მთავარია, რომ მუზეუმს საფუძველი ჩაეყარა, მისი ახალი მასალით შევსება და გამდიდრება კი თანდათან შეიძლება.

მუზეუმის მოწყობის საქმეს ამ ორი წლის წინათ სათავეში ჩაუდგა სასახლის პიონერული ორგანიზაციის ისტორიის კაბინეტის გამგე ლია რუხაძე.

დღეს პატივცემული ლია მეგზურობას გაგვიწევს, მაგრამ, ვიდრე მუზეუმის კარს შევაღებდეთ, ვთხოვოთ, ორიოდე სიტყვით მოგვითხროს მუზეუმის შექმნის ისტორია.

ლია რუხაძე: პიონერთა სასახლეში რომ გადმოვდიოდი სამუშაოდ, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა მდივანმა მერი წიკლაურმა ჩემთან საუბრისას თქვა, რომ დადგა დრო შეიქმნას საქართველოს პიონერული ორგანიზაციის მუზეუმი, კაბინეტმა მთელი თავისი მუშაობა ამჯერად ამ მიმართულებით უნდა წარმართოსო. მეც ამ განწყობით შევუდექი საქმეს. მართალია, ჩემმა წინამორბედებმა, ჯერ ანა ბარიგიანმა, შემდეგ კი გივი ფანოზიშვილმა დიდი მუშაობა გასწიეს მომავალი მუზეუმის მასალების შესაგროვებლად, ბევრ საინტერესო ისტორიულ ფოტოსურათს თუ სხვა დოკუმენტს მოუყარეს თავი, მაგრამ მუზეუმისათვის ეს არ კმაროდა. საქართველოს პიონერული ორგანიზაციის ისტორიის ზოგიერთი პერიოდი შეუსწავლელი იყო, ძალზე ძუნწად იყო წარმოდგენილი ომის პერიოდის მასალა. საჭირო გახდა მო-



გვეზიდა და დაგვერაზმა ენთუზიასტები. ის ადამიანები, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი პიონერიის განვლილი გზა, ვისაც დიდი წვლილი მიუძღვის ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის გაფართოებაში თუ წარმართვაში, ვინც ათეული წლების მანძილზე პიონერიის რიგებში ან მის გვერდით მიაბიჯებდა, ქმნიდა ტრადიციებს, ისტორიას.

პირველ რიგში გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქციას შევაკითხეთ, რადგან გაზეთი ისტორიის სწორუტყუარი მემატიანეა, რაც კი მნიშვნელოვანი მომხდარა ჩვენს პიონერიაში, ასახულია „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე. გაზეთი დაგვეხმარა ფაქტების დადგენაში, ძველი პიონერმუშაკების მიკვლევაში; გაზეთთან ერთად სასახლემ გამოაცხადა ნორჩ წითელკვალმაძიებელთა რესპუბლიკური ექსპედიცია „მატიანის ფურცლები". დიდი და საინტერესო მუშაობა გასწიეს კვალმაძიებლებმა, მათმა უფროსმა მეგობრებმა, „ნორჩი ლენინელის" რედაქციის განყოფილების გამგემ მზია კოჭლავაშვილმა. ექსპედიციის შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა; პიონერთა მიერ შეგროვილი დიდძალი მასალა იქცა იმ საფუძვლად, რომელზედაც აღმოცენდა ჩვენი მუზეუმი. დიდი დახმარება გაგვიწიეს პიონერული ორგანიზაციის ვეტერანებმა: ანდრო კაპანაძემ, ევგენია მიქაძემ, ანა ზენტენკმა, ნინა ჩერნიავიანოვამ, ბაბო საბაშვილმა და სხვებმა. მათ გადმოგვეცეს ფერგადასული ფოტოები, სამკერდე ნიშნები, ვიმპელები, მოგონებები...



ეს ისტორიული კადრი კი ნორჩი მზიანეთელების მიერ ამხ. ე. ა. შევარდნაძის საპატიო პიონერად მიღებას ასახავს.



მუზეუმი გავხსენით, პირველი დამთვალიერებლებიც გვეწვივნენ უკვე, მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ ეს მხოლოდ ჩანასახია, რომელიც დროთა განმავლობაში გაიზრდება, შეივსება, გამდიდრდება, გაფართოვდება. ამიტომ მომავალშიც დიდი მუშაობა გველის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის" საშუალებით მუზეუმმა დავალება მისცა კვალმაძიებლებს, შეისწავლონ პიონერთა ბანაკების ისტორია, მიაკვლიონ ძველ ფოტოსურათებს, ალბომებს, ატრიბუტებს და სხვა ნივთიერ მასალას. ჩვენი პიონერთა ბანაკები შეუსწავლელი უბანია და ვფიქრობთ, კვალმაძიებლები ამჯერადაც გაგვახარებენ მოპოვებული მასალით.

მაშ ასე, ჩვენ უკვე მუზეუმში ვართ. მისი ექსპოზიცია პერიოდებად არის დაყოფილი: 1922-1929 წლები — პიონერთა ორგანიზაციის აღმოცენებიდან — ამიერკავკასიისა და საკავშირო პიონერთა პირველ შეკრებებამდე; შემდეგ — 1930-1940 წლები; დიდი სამამულო ომის პერიოდი; ომის შემდეგი პერიოდი 1946 წლიდან — სამოციანი წლების ჩათვლით; და ბოლოს, სამოცდაათიანი და ოთხმოციანი წლები. ცალკეა გამოყოფილი საბავშვო პერიოდიკა — ქართული პიონერული ჟურნალ-გაზეთები. ექსპოზიცია მთავრდება განყოფილებით — „მზიანეთიდან მზიურამდე".

პიონერთა ორგანიზაციის დაარსების წინა პერიოდი ექსპოზიციის დასაწყისშია განლაგებული ორ ფარზე. აქ ყურადღებას იპყრობს მასალები ნორჩ არტისტ-აგიტატორ კოტე მღებრიშვილზე.

— პატივცემულო ლია, როგორ მოიპოვეთ ასეთი საინტერესო დოკუმენტური მასალა კოტე მღებრიშვილზე?

**ლია რუხაძე:** ნორჩ კომუნარზე ბევრი დაწერილა საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ დოკუმენტური და ნივთიერი მასალა, რომელიც მუზეუმს გამოადგებოდა, არ მოგვეპოვებოდა. დიდი დახმარება გაგვიწიეს საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის რეჟისორებმა ირინე ტალიაშვილმა და გივი ვეფხვაძემ, რომლებმაც გადაიღეს სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გმირული სიცოცხლე". მათი დახმარებით დავუკავშირდით კოტეს დის — ვიქტორია მღებროვ-ბორტინას ოჯახს ლენინგრადში და ყველა ეს ფოტოსურათი და დოკუმენტური მასალა მათგან მივიღეთ. უნიკალური ფოტოსურათები მოგვითხრობენ კოტეს ხანმოკლე, მაგრამ მეტად შინაარსიანი ცხოვრების შესახებ.

პირველი პერიოდის ექსპოზიცია მდიდარია ფერგადასული ფოტოსურათებით, აქ ნახავთ საქართველოს ქალაქებისა და სოფლების პირველ



პიონერულ რაზმებს; გაეცნობით, როგორ ყალიბდებოდა და ფართოვდებოდა ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა, როგორ იხვეჭდა იგი ავტორიტეტს მოსახლეობის ფართო ფენებში, როგორ იქმნებოდა ტრადიციები.

1930 და 1940 წლებში გაიმართა საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის პირველი და მეორე რესპუბლიკური შეკრებები; თბილისში აშენდა ჩვენს ქვეყანაში პირველი საბავშვო რკინიგზა; თბილისელ პიონერებს გადაეცათ მეფის ნაცვლის ყოფილი სასახლე, დაიწყო მისი კაპიტალური რემონტი და პიონერთა სასახლის მოწყობა; მოსკოვში გაიხსნა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, სადაც ნორჩ ნატურალისტთა პავილიონიც იყო. გამოფენაზე გაემგზავრნენ გამოფენის პირველი მონაწილენი — საქართველოს ნორჩი ნატურალისტები, მათ შორის ლანჩხუთის პიონერები, რომლებმაც თავი ისახელეს ციტრუსოვანი პლანტაციის გაშენებასა და ახალი ჯიშების გამოყვანაში.

გაიხსნა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე. ეს იყო 1941 წლის 2 მაისს, 22 ივნისს კი ჩვენს დიად სამშობლოს ვერაგულად დაესხა თავს ფაშისტური გერმანია, დაიწყო დიდი სამამულო ომი. ეს განყოფილება მდიდარია საინტერესო მასალით, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ ეხმარებოდნენ პიონერები უფროსებს ზურგში — ფაბრიკა-ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, სადაც მათ ომში წასული მამები და უფროსი ძმები შეცვალეს. აქ ნახავთ იმ ქართველ ბიჭუნების პორტრეტებს, რომლებიც პოლკის შვილობილები იყვნენ და იარაღით ხელში ებრძოდნენ მტერს.

ძალზე საინტერესო, შინაარსიანი და მრავალფეროვანია საქართველოს პიონერიის საქმიანობა ომის შემდგომ პერიოდში. აქ წარმოდგენილია მასალები რესპუბლიკურ შეკრებებზე, შრომის ნორჩ ენთუზიასტებზე. ერთ მათგანს — პიონერ ნაილა ჩელებაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, ხოლო პიონერი ასმათ ბაუჟაძე ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

სამოცდაათიანი და ოთხმოციანი წლების პიონერთა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნორჩ ლენინელთა საკავშირო მარშს, რომლის მარშრუტების მიხედვით გაშლილი მუშაობა საკმაოდ საინტერესოდ არის წარმოდგენილი.

— პატივცემულო ლია, რამ განაპირობა, რომ მუზეუმში ცალკეა გამოყოფილი განყოფილება „მზიანეთიდან მზიურამდე“?

ლია რუხაძე: ბავშვთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის — „მზიურის“ გახსნა დიდი მოვლენაა საქართველოს პიონერთა ცხოვრებაში. ეს გახლავთ ნორჩ თაობაზე ჩვენი პარტიისა და მთავრობის ზრუნვის კიდევ ერთი გამოხატულება. „მზიურის“ წინამორბედი იყო პიონერული ქალაქი „მზიანეთი“, რომელსაც მთელი საქართველოს პიონერია აშენებდა სასახელო საქმეებით, ის იყო პიონერთა ოცნების ქალაქი. მზიანეთელებს ესტუმრა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი ე. შევარდნაძე, რომელმაც ასე მიმართა ნორჩ ლენინელებს... „თქვენ გაიზრდებით, დავაჟკაცდებით, ისწავლით, გამოიწრთობით შრომაში და თქვენი ხელებით აშენდება ნამდვილი ქალაქები, ნამდვილი სოფლები, ნამდვილი გამშირები, თქვენი და თქვენი ტოლების ხელებით მოჩუქურთმდება დიდებული შენობა კომუნიზმისა“.

და მართლაც დავაჟკაცებული მზიანეთელები დღეს აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტურ მშენებლობაში. „მზიურის“ მშენებელთა შორისაც ბევრია ორმოცდაათიანი და სამოციანი წლების პიონერები.

აი ასეთია, ყმაწვილებო, თვალის ერთი გადავლებით ჩვენი პიონერული მუზეუმი, რომლის ექსპოზიციას თქვენი სასახელო საქმეები, ისტორიად ქცეული თქვენი მუშაობის ყველაზე ნათელი დღეებიც შეავსებენ, რომ არაფერი მიეცეს დავიწყებას და შთამომავლობას ესტაფეტასავით გადაეცეს საქართველოს პიონერიის გმირული გზის მარად დაუვიწყარი მატიანის ფურცლები.





# ზამთრის სურათები

## ზურმუხტფერას წუხილი

მიშო ქიქინაძე

მხატვარი ედ. ამბოკაძე

პიესა ერთ სურათად

ტყის სიღრმიდან შემოცვივდნენ მწვანე, ყვითელი და ცისფერი ფერიები.

**მწვანე** — ეს ამბავი,
რასაც ახლა გიამბობთ,
ამას წინათ მოხდა...

**ყვითელი** — სოფლის ავმა ბიჭებმა
ზურმუხტფერა ნაძვის შვილი
კოხტა,
უსუსური, პატარა,
ტყისმცველმა რომ ახარა
და გაზარდა ტანჯვითა და
სიმწრითა,
ფესვიანად ამოთხარეს მიწიდან
სიცილით და ხარხარით...

**ცისფერი** — და სოფლისკენ გააქანეს
მანქანით.

**მწვანე** — ო, მას მერე
თითქმის ერთი კვირა გადის,
დედა ნაძვი მოინელა დარდმა.

**ყვითელი** — ტყისმცველიც კი ველარ
შველის ამ უბედურს,
ასე უცებ, შეხეთ, როგორ დადნა!

**მწვანე** — ჩვენ მრავალი
სამკურნალო ბალახი
მოვუტანეთ და მთის წყალიც
ვასვით.

**ცისფერი** — მაგრამ თურმე
შვილდაკარგულ დედისთვის
სიცოცხლესაც აღარა აქვს ფასი...

**მწვანე** — შარშან ამ დროს,
გახსოვთ, ნაზო ფერიებო,
საახალწლოდ რა ლამაზად
ვრთავდით...

**ცისფერი** — დღეს კი, ხედავთ,
ვეღარაფრით ვერ იცილებს
ავდრის ღრუბელს —
მწუხარების მანდილს.

**ყვითელი** — აბა, დროა, ვუხმოთ ისევ
ჩვენს ქროლიას,
მოგვატაროს მინდორი და ჭალა.

**ცისფერი** — ზურმუხტფერას
მწუხარების ამბავი
სულ მოვფინოთ სოფელსა და
ქალაქს.

(გარბიან)

**ტყისმცველი** — (მოწყენილი უახლოვდება ზურმუხტფერას)
რაო, ჩემო ზურმუხტფერავ,
უღრანი ტყის დედოფალო!
ეგ ცრემლები, მეგობარო,
აბა, სანამ უნდა ღვარო?

(თავისთვის)
სუსხიაგან შეყინულს
მკერდი როგორ უციმციმებს.
ამის ხვედრი სტანჯავს მთელ
ტყეს —
ნაძვებს, ფიჭვებს, მუხებს,
რცხილებს...

(შორიდან ცულის ხმა მოისმა)
ახლაც ცულის ხმა რომ ისმის,
იმ ხევს მიღმა
ხეს ჭრის ვიღაც
დღისით, მზისით,
დამიცადოს, მიეზღვევა
საკადრისი!

(შემოცვივდნენ კურდღლები — ცალყურა და ჭრელა)

**ცალყურა** — სად ხარ, ტყისმცველო?!

**ჭრელა** — პაპა, ტყისმცველო!

**ტყისმცველი** — აქ ვარ! რა მოხდა?

**კურდღლები** — უნდა გვიშველო!

**ცალყურა** — იქ, ჩვენს სოროსთან
ხე რომ დგას ერთი...

(ჭრელას გადახედა)
დაო, რა ჰქვია?

**ჭრელა** — ბებერი ვერხვი.

**ცალყურა** — მოადგა ვიღაც
ბეჟია კაცი ცულით და ხერხით
და უმოწყალოდ ჩეხავს და
სხეპავს...

**ჭრელა** — ვინ მისცა ნება?!
მალე სოროსაც დაგვინგრევს
ალბათ...

**ტყისმცველი** — ნუ გეშინიათ,
ცეროდენებო,
თქვენს გვერდითაა
ტყისმცველი პაპა.
აბა, იქითკენ გავსწიოთ სწრაფად!

**ცალყურა** — გავსწიოთ, მაგრამ,
მე მგონი, ის ხე
უკვე სულს ღაფავს.

(გადიან)

**ზურმუხტფერა** — (ატირდება)
ვაი, შვილო, ჩემო ტანლატანა
ბიჭო,
სად ხარ ნეტავ?!
მოსაჭრელად ვინ უგულომ
გაგიმეტა!
ნუთუ თვითონ არ ჰყავს დედა...

**ქროლია** — ნუღარ კვნესი, ჩემო დაო,
მოითმინე კიდევ ცოტაც...
და სულ მალე გაიხარებ,
ცოცხალია შენი კოხტა!

**ზურმუხტფერა** — უხ, რას ამბობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა მჯერა!
**ქროლია** — მომისმინე,
ზურმუხტფერავ!
იმ ცელქ ბიჭებს,
მიწიდან რომ ამოძირკვეს
კოხტა ნაძვი,
სდომებიათ საახალწლო
ზეიმისთვის...
ჰოდა, აბა მათზე ცუდი
რაღა ითქმის.
მართალია, მოიტაცეს, მაგრამ,
იცი,
შინ წაიღეს თურმე კოხტა
ციმციმ-ციმციმ...
რომ მოთხარეს,
ლამაზ ყუთში ჩასვეს იმ წამს
და ფესვებზე მიაყარეს
ჩვენი მიწა.
**ზურმუხტფერა** — ნუთუ მართლა?!
მითხარ, მაშ არ მოუჭრიათ?
**ქროლია** — დამიჯერე. მეც გული
მაქვს,
თუმცა ცეტი ქარი მქვია,
სასიკეთოდ დავქრი ირგვლივ
ქრიალ-ქრიალ.
ჰოდა, წეღან იმ ბიჭების
ოდა-სახლშიც შევიჭყიტე,
დავაკვირდი ნათელ ოთახს,



ჩახჩახებდა კიდით კიდე.
შუაგულში იდგა მწვანედ
მოღაღანე შენი კოხტა...
**ზურმუხტფერა** — ვაი, შვილო!
**ქროლია** — ნუ, ნუ ოხრავ!
გაისმოდა ირგვლივ: — მზია!
ჰეი, ვახტანგ! თამრო! ბონდო!
ჩვენი ნაძვი, ხომ იცით, რომ
ცოცხალია.
ტოტები არ დავუმძიმოთ,
ისე მოვრთოთ!
ზეიმი რომ დამთავრდება,
აი, მაშინ
აქვე დავრგათ,
ჩვენს ბაღჩაში.
**ზურმუხტფერა** — ესე იგი ცოცხალია
ჩემი ბიჭი!
ნიავ-ქარო, თუ ასეა,
რაღა მიჭირს!
რა ვქნა, თუნდაც
ვეღარასდროს ვეღარ ვნახო,
ღაღანებდეს ოღონდ სადმე
ახლომახლოს.
სხვებმა მაინც გაიხარონ
მისი ცქერით.
მე ვიქნები, ქარო, ძალზე
ბედნიერი,
თუ ხანდახან დედის თხოვნით
მაგ ფრთებს გაშლი
და ჩემს ამბორს
შვილს მიუტან
იმ ბაღჩაში...

*გახარებულ ზურმუხტფერას ტყის ფერიები უახლოვდებიან.*

**მწვანე** — მოგვილოცავს,
ზურმუხტფერავ,
მოგვილოცავს!
**ყვითელი** — ეს ამბავი, საზეიმო,
მთა-ბარს მოვდეთ.
**ცისფერი** — ხედავ, ბორცვზე
მოზუზუნე
მუხებს, რცხილებს.
სიხარულით რომ გიქნევენ
ტოტებს...
**მწვანე** — აგერ, შენკენ
მოსალოცად მოდის ყველა!

*შემოდიან ტყის ბინადარნი: ცხოველები, ფრინველები...*

**ყვითელი** — უკვე დროა,
მოვრთოთ ჩვენი ზურმუხტფერა
და ახალი წლის მოსვლამდე,
ფერიებო,
აბა ერთხმად შემოვძახოთ
ტყის სიმღერა!

**თემურ საგარელი**

ავტორის ფოტო

საზაფხულო არდადეგები დადგა თუ არა, პიონერ-მოსწავლეთა უმრავლესობამ შრომისა და დასვენების პიონერულ ბანაკებს მიაშურა.

ქალაქში დარჩენილ პიონერ-მოსწავლეთათვის მარტო თბილისში 40 საქალაქო ბანაკი გაიხსნა. 7125 ბავშვი სამ ნაკადად ესტუმრა საქალაქო პიონერულ ბანაკებს. თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში, ცხრა იანვრის ქუჩაზე მდებარე პიონერულ ბანაკ „მზიანეთში" ოქტომბრის რაიონის სკოლებიდან 130-მა ბავშვმა მოიყარა თავი. დილის ცხრა საათზე ფიზკულტურის მასწავლებლის, თენგიზ გულორდავას ხელმძღვანელობით პიონერები გამამხნევებელ ვარჯიშს ატარებენ. გემრიელი, ნოყიერი საუზმის შემდეგ ტრადიციულად ეწყობა პიონერული ხაზი და მზიანეთელები ეცნობიან დღის რეჟიმს. აი, ოთხივე რაზმის საბჭოს თავმჯდომარეებმა პატაკი ჩააბარეს უფროს პიონერხელმძღვანელ ნაირა იაშაღაშვილს და დაიწყო ბანაკის კიდევ ერთი ჩვეულებრივი, შინაარსიანი დღე.

სხვადასხვა დარგობრივ წრეებში გაერთიანებულმა პიონერებმა პატარა, კოხტა კოტეჯებს მიაშურეს. ავიამოდელისტთა წრის წევრები იმ დღეს თავიანთ მოდელებს ცდიდნენ ბანაკის ტერიტორიაზე.

მხარეთმცოდნეობის წრის წევრები, რომელთაც გია ბერაძე ხელმძღვანელობს, ხშირად დადიან კუს ტბის მიდამოებში ღია ცისქვეშ განლაგებულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ეცნობიან საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელ საცხოვრებელ სახლებს, ძველებურ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, პირველად ნახეს მაღალმთიან სოფლებში გავრცელებული, ეგრეთ წოდებული ჩოჩიალა ურემი. წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა სვანურმა კოშკმა.

ქართველი და რუსი ხალხის დამეგობრების ზეიმს, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს, ფარ-

# ზაფხულის დაუვიწყარი დღეები

თოდ გამოეხმაურნენ მზიანეთელები. ლიტერატურის წრის წევრები დალი სოფაძის ხელმძღვანელობით დაუკავშირდნენ გაბაშვილის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკის მუშაკებს და უფროსი პიონერხელმძღვანელის ნაირა იაშაღაშვილის აქტიური მონაწილეობით, ერთობლივი ძალებით მშვენიერი მონტაჟი მოამზადეს. დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ მიხედვით გამართული თეატრალური წარმოდგენა ძველი ქართული საგალობლების ფონზე წარიმართა. 26-ე სკოლის მეექვსეკლასელმა ლერი შენგელიამ ოსტატურად განასახიერა ერეკლეს როლი. ძნელი იყო აუღელვებლად მოგესმინათ მე-4 სკოლის მეხუთეკლასელი ალექსანდრე ბაკურაძისათვის — სოლომონისათვის. ასევე საინტერესო იყო 36-ე სკოლის მეშვიდეკლასელ ხათუნა პეტრუზაშვილის სოფიო.

საინტერესო და შინაარსიანი იყო „მზიანეთში“ გატარებული დღეები. პიონერებს დიდხანს ემახსოვრებათ ბურატინოს დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მხიარული ზეიმი, პოეზიის საღამო — „პუშკინი და საქართველო“, ინტერნაციონალური სიმღერების კონკურსი (რომელშიც გაიმარჯვა მეორე რაზმმა), სპორტული შეჯიბრება — „აბა, ბიჭებო!“ და „აბა, გოგონებო!“, სადაც პირველობა პირველმა რაზმმა დაისაკუთრა.

მეორე რაზმის პიონერები 22 ივნისს გამარჯვების პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავთან გამართულ მიტინგზე სხვებთან ერთად საპატიო ყარაულში იდგნენ. პიონერებმა პატივი სცეს დიდ სამამულო ომში დაღუპული გმირების ხსოვნას და მერე იქვე ჩაატარეს რაზმის შეკრება თემაზე: „არავინ და არაფერია დავიწყებული“.

— ყურადღება! ლაპარაკობს რადიოსადგური „ოქროს საწმისი“. მოისმინეთ გაზეთ „ნორჩი ლენინელისა“ და „პიონერსკაია პრავდას“ მიმოხილვა! — გამოაცხადა ნორჩმა



„მზიანეთშიც“ უყვართ კალათბურთი. თენგიზ მასწავლებელმა სადავო ბურთი ააგდო და თამაში უცრო დაიძაბა.



მაკულატურის გეგმა პიონერებმა პირნათლად შეასრულეს.



თამილა ბარნაბიშვილისა და ლიუდა სტუკოვას ნაქსოვ-ნაქარგი ამხანაგებს ძალიან მოეწონათ.



ძიძგი-ძიძგი, მამალო, შენ იცი და მაგანო...

დიქტორმა და ასე დაიწყო ერთი ჩვეულებრივი დღე ჩვენი დედაქალაქის საქარხნო რაიონის პიონერულ ბანაკ „ოქროს საწმისში". მიმოხილვის დასასრულს ნორჩმა პოეტებმა ილია ბეზრუკმა და მაია შერმადინმა საკუთარი ლექსები წაიკითხეს.

— ჩვენი ბანაკი საავიაციო ქარხნის ტერიტორიაზეა და პიონერთა უმრავლესობას ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შვილები და შვილიშვილები შეადგენენ, — თქვა ბანაკის უფროსმა რუსუდან ხვიჩიამ. — ბანაკი ინტერნაციონალურია — ქართველი, რუსი, სომეხი, ოსი, იეზიდი და აზერბაიჯანელი ბავშვები ერთიან, ძმურ ოჯახად ცხოვრობენ.

ასოცდახუთი ბავშვი — ასოცდახუთი სხვადასხვა ხასიათი სულაც არ უშლიდა ხელს პიონერებს, როცა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური მონტაჟი მოამზადეს და რუსი და ქართველი ხალხების დამეგობრების დიდ ზეიმში მონაწილეობა მიიღეს. აბა როგორ დაივიწყებენ ოქროს საწმისელები თბილისის 124-ე სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის გამოსვლას! ნორჩმა მოცეკვავეებმა ჭიჭიკო ბოხუას ხელმძღვანელობით რუსი,



შებარვა ფანჩატურის ვაზსაც უნდა, უამისოდ არც ნაყოფი ექნება, არც ჩრდილი.

ქართველი და სხვა დაძმობილებული ხალხების ეროვნული ცეკვები შეასრულეს. ბანაკში ყველას ეამაყებოდა ქორეოგრაფიული ანსამბლის არსებობა. ისინი ხომ მესამე რაზმს შეადგენდნენ და მთელმა ბანაკმა გზა მშვიდობისა და წარმატებები უსურვა თანატოლებს, როცა ისინი საგასტროლოდ გაემგზავრნენ ლენინგრადსა და მურმანსკში.

— არასოდეს დამავიწყდება ჩვენი ბანაკი, — თქვა პირველი რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ ვიკა საბანოვამ. — აქ გატარებული ყველა დღე თავისებურად საინტერესო იყო. მეოჯახეობის, ვოკალის, ტანვარჯიშის და სხვა წრეები ნაყოფიერად მუშაობდნენ. მეოჯახეობის წრეში ბევრი კარგი და გემრიელი კერძის მომზადება ვისწავლე.

— ხშირად დავდიოდით ექსკურსიებზე, — ჩაერთო საუბარში დათო ბექაური. — შემოვიარეთ ისტორიული მეტეხი და ნარიყალა, გავეცანით კომკავშირული ხეივნის დაარსების ისტორიას, ვიყავით ბოტანიკურ ბაღში.

მთელი ბანაკი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მაკულატურის შეგროვებაში, უვლიდნენ ბანაკის შემოგარენში გაშენებულ მწვანე ნარგავებს, ხშირი სტუმრები იყვნენ სანაპიროზე გამართული დიდებული საცურავი აუზისა. მესამე რაზმის საბჭოს თავმჯდომარე მაია შერმადინმა ღიმილით აღნიშნა, რომ ბევრმა მისმა თანატოლმა ცურვა ადრე სულაც არ იცოდა და ახლა „ბაყაყურს" მშვენივრად დაეუფლნენო...



ფინიშამდე ნაბიჯიღაა! ამ ბიჭუნამ პირველი ადგილი გაინაღდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ბურთმა მხიარულად ჩამოიარა წრე...



მარიკა ბილაურის გობელენი ბევრი ოსტატის ნახელავს გაეჯიბრება.

17462

გლდანის რაიონის პიონერ-მოსწავლეებს იმ დღეს ორმაგი სიხარული ჰქონდათ: გლდანელებმა საჩუქრად მიიღეს ახალი კეთილმოწყობილი პიონერთა სახლი, რომლის საზეიმო გახსნას დაემთხვა ამავე სახლის ბაზაზე კიდევ ერთი საქალაქო პიონერული ბანაკის, „მზიურის“ შექმნა. ზეიმში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული იყვნენ სხვა პიონერთა ბანაკების — „შევარდენის“, „ცისარტყელას“, „ჩირაღდანისა“ და „სიჭაბუკის“ წარმომადგენლები. ქარხანა „ცენტროლიტის“ მუშებმა, შრომის გმირებმა გიორგი კურტანიძემ და ლუკა წიკლაურმა გულმხურვალედ მიულოცეს ბავშვებს პიონერთა სახლისა და ბანაკის გახსნა, უსურვეს უღრუბლო ცა, ბეჯითი სწავლა და წარმატება შრომაში.

ძალზე საინტერესო და შინაარსიანი იყო ინტერნაციონალური მეგობრობის საღამო, — გვიამბობს უფროსი პიონერხელმძღვანელი ლია ბაჩიაშვილი. — ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი პიონერები ერთმანეთს ეცილებოდნენ მხატვრული კითხვის ოსტატობაში, სიმღერებში, მოძმე ერების პოეზიის ცოდნაში. დასასრულ, ხელიხელჩაკიდებულმა გოგო-ბიჭებმა წრე შეჰკრეს და მხიარული ფერხული გააჩაღეს.

უფროსებს არც უმცროსები ჩამორჩნენ, მესამერაზმელებმა, სადაც მხოლოდ ოქტომბრელები არიან, მარინე ქვრივიშვილისა და ჯემალ დავითაშვილის ხელმძღვანელობით მრავალი საინტერესო ღონისძიება ჩაატარეს. ერთი მათგანი — „ოქტომბრელები ოქტომბრის ქვეყანაში“ — ყველას მოეწონა.

ამ ზაფხულს გლდანელი პიონერები კიდევ ერთი სანაქებო საქმის ინიციატორები გახდნენ; წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭები ვალენტინა სერგეევას ხელმძღვანელობით მეშვიდე მიკრორაიონის აფთიაქს ეწვივნენ და ფარმაცევტებთან ხელშეკრულება დადეს — შეაგროვონ და ჩააბარონ მინდვრის სამკურნალო ყვავილები და ბალახები. ჯარასავით დატრიალდნენ მეექვსეკლასელები — ლიუდმილა სტრიუკოვა, თამრიკო გუდაძე, ალბერტ სუქიასოვი და სხვები, ბავშვები გულმოდგინედ არჩევდნენ და კრეფდნენ მინდვრის ყვავილებს გლდანის ფერდობებზე.

ნორჩმა მხატვრებმა შესაშური ოსტატობა გამოამჟღავნეს პოლიტიკური პლაკატების ხატვისას.

სამხატვრო წრის ინიციატივით ბანაკში საინტერესოდ ჩატარდა პოლიტიკური შინაარსის პლაკატების კონკურსი. ნორჩმა მხატვრებმა შესაშური გონებამახვილობა გამოამჟღავნეს, თავიანთი ბავშვური ყალმით კიდევ ერთხელ დაგმეს ომის გამჩაღებლები და მსოფლიოს ხალხებს მშვიდობისაკენ მოუწოდეს. კონკურსის მონაწილეთა შორის ყველაზე მეტი ქულა პირველმა რაზმმა მოაგროვა და გამარჯვებაც მას დარჩა.

... მიიწურა პიონერული ზაფხული და ბანაკში დამეგობრებული გოგო-ბიჭები ფარული გულისტკივილით ეთხოვებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ იმედს გამოთქვამდნენ, რომ გაისად ისევ შეიკრიბებიან და კიდევ უფრო შინაარსიანი, საქმიანი და ხალისით სავსე იქნება მათი შეხვედრა.





კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.





**იური ნარიმანიძე**

მხატვარი თ. ფხაკაძე


მოთხრობა

მეორე სართულის ფანჯრებმოღიავებული ოთახიდან ჯერ გამების განუწყვეტელი ხმა ისმოდა, შემდეგ კი რომელიღაც სავარჯიშო ეტიუდის მსგავსი მელოდია...

სტუმარმა, წუხელ საგანგებოდ რომ ამოიყვანეს ქალაქიდან მასპინძლის პატარა გოგონას დაბადების დღისათვის ეშხის მისაცემად, ვერაფრით ვერ მოისვენა, ღამე ძილი გაუტყდა. ის-ის იყო დილით ჩათვლიმა, რომ მეზობლის ეზოდან ძაღლის ღავღავი და ძროხის ბღავილი მოესმა. მერე კი — ეს გაუთავებელი გამები და ეტიუდები დაწყებითი სკოლის პროგრამიდან...

— არა, ამ გოგონასაგან მუსიკოსი არ დადგება! — თავისთვის ჩაილაპარაკა კაცმა და თავზე თხელი საბანი წაიფარა.

— თათანა, რა კარგად უკრავს ლუიზა! — მოისმა ამ დროს შარაგზიდან და მეზობლის ქალმა, წუხელ ძვირფასი სტუმრის პირდაპირ საგანგებოდ რომ დასვეს, ეზოს კუტიკარი შემოაჭრიალა.

— ჯერ არ ამდგარა? — ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით ჰკითხა დიასახლისს.

ლუიზას დედა აივანზე იდგა და ჩაის ჰიქაში მთელი ენერგიით აჩხაკუნებდა კოვზს, ქალიშვილს გოგლიმოგლს უმზადებდა.

— არ ამდგარა! — ჩურჩულითვე უპასუხა თათანამ, მერე ხმამაღლა, — რა ვიცი, გეთაყვა, მასწავლებელი მაინც არ ემადლიერებაო, — თქვა და ქოშების პაკაპუკით კიბეზე დაეშვა.

— მეფური სუფრა გქონდა, მეფური. ძალიან ვისიამოვნეთ. ის პატარა ბიჭი ვინღა იყო?

— რომელი?

— ჭორფლიანი...

— აჰა, გიოზე მეუბნები? გიორგის ნათესავია. ამას წინათ ხომ გითხარი, დედამისს მაგ ბავშვისათვის ჩემი ქმრის პატივსაცემად დაურქმევია გიორგი, გიო...

— ეგ ის ბიჭია არაა, სტვენა რომ უყვარს?

— ხო, დილით ექვსი ვედრო წყალი მოგვიზიდა, ახლა ბაღშია ჩასული და იქ თამაშობს.

ქალების საუბარი და სიცილ-კისკისი დახურული ფანჯრიდან მაინც მოისმოდა, ამას ზედ კიდევ პიანინოს მჭახე ხმაც ერთვოდა...

კაცი წამოდგა, სპორტული კოსტიუმი ჩაიცვა, ფოსტლებში ფეხი გაყო და აივანზე გავიდა.

ინდაურის ფრთებით თავშემკობილი გიო ათასნაირი ხილით ტოტებდახუნძლულ ბაღში დააბიჯებდა და, ირგვლივ მყოფთ რომ არ გაეგოთ, ხმადაბლა სტვენდა.

— გიო! — დაარიგა დედამ გამომგზავრების წინ, — მამის სულს გაფიცებ, არ შემარცხვინო — იმ ხალხთან შენებურად არ მოჰყვე ხეებზე ძრომასა და სტვენას...

— ხეებზე ძრომას ნამდვილად არ დავიწყებ! — დაჰპირდა გიო, — აი, რაც შეეხება სტვენას, ვეცდები...

— როგორ თუ ეცდები?!

— ვეცდები, არ დავუსტვინო, თუ, რასაკვირველია, არ წამომცდა.

დედამ შვილისაკენ თმის მოსაჩეჩად გაწვდილი ხელები უღონოდ ჩამოუშვა ძირს და ესღა თქვა:

— თუ მაინცდამაინც ძალიან მოგინდეს, ბაღში ან მინდორში გადი და იქ რამდენ ხანსაც გენებოს, უსტვინე!

გიოს ახლა ცხადად წარმოუდგა თვალწინ დედა და სტვენა შეწყვიტა. თივის ბულულებში ჩამდგარი გაირინდა, თითქოს იდუმალ ხმას მიაყურადაო.

მცხუნვარე მზის სხივები კუტკალიებივით ხტოდნენ დაფუტუროვებული, ბებერი მსხლის გარშემო...

ეხ, საწყალი ხე, საწყალი,
ოდესღაც მდგარა მეფურად.
ახლა კი, ახლა შეხედეთ,
რარიგად დაბერებულა...

ბებერ ხეს აქა-იქ მაინც დაესხა ნაყოფი. ერთ ადგილას უცნაურად შეტყუპულ მსხლებს მოჰკრა გიომ თვალი. ეტყობოდა, ვიღაცას ტოტიანად სურდა მათი შინ წაღება, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და ნახევრად მოტეხილ ტოტზე მიატოვა. ნაადრევად წასვლოდათ საწყლებს ფერი და ოდნავ მიმჭკნარიყვნენ კიდეც. გიოს ხის ძირში უნდოდა ჩამოჯდომა, მაგრამ ჭიანჭველების ბუდეს მოჰკრა თვალი და გადაიფიქრა. ბაღის ბოლოში სკები რომ მოჩანდა, იქით გასწია.

უცებ ფეხდაფეხ აედევნებულ ჩქამს დააყურადა და შედგა.

— ეჰე, რატომ გაჩერდი? — მოესმა ზურგს უკან. სწრაფად შემობრუნდა და მეტისმეტი გაოცებისაგან პირი დააღო; მის წინ აყლაყუდა კაცი იდგა. თავზე იმასაც ინდაურისფრთიანი ქუდი ეხურა და დიდი ხნის ნაცნობივით უცინოდა.

— რატომ აღარ უსტვენ?

— მეე? — ისე შეიცხადა გიომ, თითქოს დიდ დანაშაულში დებდნენ ბრალს.

— ჰო, შენ! რა გაოცებული შემომცქერი, ველურო, ვერ მიცანი?

— როგორ არა, ძია სულხანი ხართ...

— ცდებით, მე მეზობელი ტომის ბელადი ვარ. სახელად მაღლაბუკ-

მაღლაბუკა მქვია. — კაცმა, რომელიც ველურების ბელადზე მეტად ბოთლიდან ახლადამობოლქვილ ჯადოქარ ჯინს ჰგავდა, წინ წამობურცულ ტუჩებზე მარჯვენა ხელი რამდენჯერმე ჩამოისვა და მართლაც ველურივით წივილ-კივილი ატეხა. შემდეგ ორივე ხელი მკერდთან მიიტანა და ბრძანა:

— თქვენი სახელიც მიბოძეთ!

გიოს ერთი სული ჰქონდა, ხმამაღლა გადაეხარხარა, მაგრამ თავი შეიკავა და წამღერებით მიუგო:

—მე დაბლაბუკ-დაბლაბუკა ვარ...

— კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, დაბლაბუკ-დაბლაბუკავ! — მაღლაბუკა პატივისცემის ნიშნად წელში ორად მოიხარა და დაბლაბუკად მონათლულ გიოს მკლავში ხელი გამოსდო.

— ვიდრე ჩემი გვარ-ტომის ბრძენი მოხუცები შორეული მგზავრობიდან დაბრუნდებიან, აგერ, იმ ვიგვამის ახლოს რომ ძელსკამი დგას, იქ ჩამოვსხდეთ.

ორივენი უხმოდ მივიდნენ საქათმისა თუ საღორის წინ მდგარ სკამთან და ჩამოსხდნენ. თვალებში ეშმაკუნები ჩასახლებოდათ.

— ეს თავსამკაული შენ თვითონ გაიკეთე თუ ბიძაშენი დაგეხმარა?

— ის ჩემი ბიძა არ არის... დედაჩემის ნათესავია, — მიუგო ბიჭმა. — გუშინ დილით ინდაური რომ დაკლეს, თათანა დეიდას ფრთები ვთხოვე და მე თვითონ...

— ჩინებულად გამოგსვლია. ამ საღამოს კონცერტზე გამოგვადგება. რომელ კლასში ხარ, დაბლაბუკ?

— მეოთხეში გადავედი, — რატომღაც შუბლი შეიკრა ბიჭმა. — გვიან შემიყვანეს სკოლაში, თორემ ახლა მეხუთეში ვიქნებოდი.

— უთუოდ მუსიკასაც სწავლობ...

— არა! — თავი გაიქნია ბიჭმა, — მაგის თავი არა გვაქვს. ჩემი და-ძმები სწავლობდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ტყუილად დაიხარჯა იმდენი დრო და ფული...

— მაშ ის მელოდია, წეღან რომ უსტვენდი, საიდან დაგამახსოვრდა?

— რომელი? არ ვიცი! — თითქოს დაიბნაო, ისე თქვა ბიჭმა. — ნუ უსტვენო, მეუბნებიან, უზრდელობაო... მე კი ძალაუნებურად... თქვენ, რა, მისმენდით?..

უეცრად ფიცრული ღობის მიღმა, იასამნის ბუჩქთან ჭახჭახის მსგავსი ხმა გაისმა. მოსაუბრენი წამით გაშეშდნენ და უცხო ფრინველის შეცნობის წადილით მონუსხულნი ერთმანეთს შესცქეროდნენ.

— შაშვია! — წაიჩურჩულა კაცმა.

— არა, ჩხიკვია! შაშვს ბაძავს! — თავი გაიქნია ბიჭმა და თავისი ნათქვამის დასამტკიცებლად შაშვისებურად აჭახჭახდა.

ბუჩქებში რაღაც შეფრთხიალდა და ხავილით გაჰყვა ტყით შეფენილ მთის ფერდობს.

— ხომ ხედავთ! შაშვი, რომ ყოფილიყო, უთუოდ გამომეპასუხებოდა. — ბიჭი ისევ ჭახჭახს მოჰყვა, თან ხელებს ფრთებივით იქნევდა და ძელსკამზე მთელი ტანით ხტოდა.

— შენ, ჩემო დაბლაბუკ, ნამდვილი მსახიობი ყოფილხარ. სად ისწავლე ეგ ყველაფერი? ალბათ სოფელში, არა?

— დიახ. შარშანწინ, ზაფხულში მამაჩემის ბიძაშვილთან ვისვენებდი კახეთში. მთელი დღე ტყეში ვიყავით ბიჭები. იქ ერთი მეველე გავიცანი, ჩანგოს ეძახდნენ. იმას ყველა ფრინველისა და ცხოველის გამოჯავრება შეუძლია, სალამურსა და ჩონგურსაც უკრავს.

— მაშ, ეგ სტვენაც ჩანგომ გასწავლა? — კაცმა ბიჭს სიცილით დაჰკრა მხარზე ხელი და წამოდგა. — საღამოს კონცერტისათვის მოემზადე. იქ, ჩვენს აივანზე გავმართავთ. ლუიზა მეზობელ გოგო-ბიჭებსაც მოიყვანს. ახლა კი წავალ, ჩვენს მუსიკოსს ცოტას წავეშველები, თორემ საღამომდე შეიძლება თითები დაიმტვრიოს.

მზე უკვე დასავლეთისაკენ გადახრილიყო. მთის გრილი ნიავი მწვანე ხეივანში მიმავალ „ველურებს“ მზით გარუჯულ პირისახეზე საამოდ ელამუნებოდა.

●

მხრებში ოდნავ აწურული გიო გადაჭრილ ხის კორძზე ზის და მთებს შორის ჩამავალ მზეს გასცქერის. იქვე, ნისლივით დაბურული ტყიდან მხიარული ყიჟინი და ცულის კაკუნი მოისმის. „ვიღაც, მგონი, ხეს ჭრის. ალბათ თბილისელი ტურისტები და-



გვიანებული სადილის სამზადისში არიან". — ფიქრობს ბიჭი.

„ეს ტყე სულ უგულოებმა გაჩეხეს. მიადგებიან ახალნაზარდ წიფელსა და მუხას და უმოწყალოდ ანადგურებენ, თითქოს მწვადის შეწვა ძირს ნაყარ ფიჩხზე არ შეიძლებოდეს!" — აგონდება გიოს ჩანგო მევლის სიტყვები და ცულის უმოწყალო კაკუნი გულს ეკალივით უკაწრავს.

სტვენს ბიჭი, მოჭუტული თვალებით გაჰყურებს ჩამავალ მზეს და ღიმილმოკიდებული ბაგიდან მოზუზუნე ფუტკრებივით მოდიან მსუბუქი ბგერები...

„ოხ, გიო! გიო! ნეტა შენ ეგ არ იცოდე და... არა, მაინც საიდან დაეჩვიე, ვინ ოხერმა შეგასწავლა?" — ყურში ჩაესმის ბიჭს დედის საყვედური და ისევ ნათლად ეცხადება მისი ნაადრევად შუბლდაღარული სახე, სითბოთი სავსე თვალები...

„წუხელ კონცერტზე, იცი, დედი, რა მოხდა? ძია სულხანმა პირველი ჯილდო მე მომაკუთვნა. დიახ, სწორედ შენს მიერ აკრძალულ სტვენაში. სულ ძალის-ძალით კი გამომიყვანეს სცენაზე. მერედა სცენა, რომ იცოდე, სად მოვაწყვეთ — პირდაპირ აივანზე, სარეცხის თოკზე ზეწრები ჩამოვფინეთ და ისე... მთელი დამსვენებლები და სოფლის გოგო-ბიჭები იქ იყვნენ, გიორგის ეზოში. ლექსებს ამბობდნენ, მღეროდნენ. ერთმა ბიჭმა საცირკო ნომრებიც კი შეასრულა. ჩვენი ლუიზა იმ თავის სასწავლო პროგრამიდან უკრავდა. მართალია, ერთი-ორჯერ შეეშალა, მაგრამ მისთვის მაინც დიდი მიღწევაა, რადგან ხალხის წინაშე პირველად გამოვიდა. მე რომ დაგენახე, უთუოდ სიცილს ვერ შეიკავებდი. ინდაურის ფრთებით თავდამშვენებული ვიდექი აივანზე და კარგა ხანს ვბაძავდი სხვადასხვა ფრინველებს... მერე სტვენა დავიწყე, აი, სწორედ ისე, როცა მარტო ვარ და შენზე და ბებიაზე ვფიქრობ... კიდევ მზიაზე და ვახოზე... ნეტა თუ დაბრუნდნენ ყამირიდან?

— გიო! გიო! სადა ხარ, ბიჭო?! — მოისმა ამ დროს შორიდან და ბიჭმა სტვენა შეწყვიტა. თითქოს სიზმარეული მოჩვენებები ჩამოიშორაო, ხელები გაიქნია, იმ მხარეს გაიხედა, საითაც ახლადჩასულ მნათობს მხოლოდ ნაცრისფერი ღრუბლის ფთილებიღა დაეტოვებინა...

„ლუიზაა. ალბათ დედამისს წყალი შემოაკლდა, ან დარო დეიდასაგან რძეა გამოსატანი".

ტყისპირსა და შენობას შორის მოქცეულ ნახნავში თმაგაწეწილი გოგონა მორბის.

„ეტყობა, ტყვეობისთვის ძლივს დაუღწევია თავი!" — ფიქრობს გიო და ისიც აჩქარებული ნაბიჯით იმოკლებს მანძილს გოგონასკენ.

— ჰო, რა მოხდა?

— პროფესორი გიბარებს...

— რომელი პროფესორი! რას ამბობ?

— ძია სულხანი. ჯილდო უნდა გადმოგცეს!

— რა ჯილდო?! — ისევ გაიოცა გიომ, — გუშინ ხომ მომცა.

— ეს სულ სხვაა: თავისივე წიგნია...

— თავისივე?

— ჰო. რომ იცოდე, რა ლამაზია, ავტოგრაფით გიძღვნა... ჩვენს ნიჭიერ გიოს, რომელიც, მჯერა, სულ მალე ცნობილი მუსიკოსი დადგებაო — წააწერა ზედ... იცი, კიდევ ძია სულხანს რა უთქვამს მამაჩემისათვის? დედამისი დაითანხმეთ და მაგ ბავშვს აუცილებლად მუსიკალურ სასწავლებელში მოვაწყობო, იქვე ინტერნატიც ყოფილა...

— ოჰ, კარგი, გოგო! რა ენად გაიკრიფე! — სიცილით წამოიძახა გიომ და შუა ნახნავში შედგა.

მინდვრის ბოლოს, ბინდისფრად ჩამუქებულ სიმწვანეში თეთრად განათებული ორსართულიანი სახლის წინ მსუბუქ მანქანას მოჰკრა თვალი... მანქანასთან ძია სულხანი და მასპინძლები იდგნენ. ეტყობოდათ, გიოსა და ლუიზას ელოდნენ. გიომ იგრძნო, რომ მის ცხოვრებაში უჩვეულო რაღაც უნდა მომხდარიყო. უცებ, როგორც ისარი, ისე გავარდა იქით, სადაც ჯადოსნური ბოთლიდან ახლადამობოლქვილი კეთილი ჯინივით მოჩანდა მაღალი კაცი, რომელიც ჭილის ქუდს იქნევდა და ბავშვური ოცნებების სწრაფად ახდენას ჰპირდებოდა.



# ქალბატონ ტვედლის ოქრო

(ინგლისური ხალხური ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მოხუცი ქალი, ქალბატონი ტვედლი. ერთხელაც მან სამზარეულოს ბუხრის გაწმენდა გადაწყვიტა. შეყო ცოცხი ბუხარში და ათი ოქრო კი იპოვა. ქალბატონი ტვედლის გაოცებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— უნდა წავიდე და ყველა მეზობელს ვახარო! — თქვა მან. ოქრო მაგიდაზე დადო და გაიქცა. მივიდა ჭასთან, სადაც სოფლის ქალები იყრიდნენ ხოლმე თავს.

— ქალებო, რომ იცოდეთ რა მოხდა! ათი ოქრო ვიპოვე ბუხარში, — მიახარა მან მეზობლებს.

— ბედი გქონია, კარგად უნდა შეინახო, ხომ იცი, ირგვლივ ყაჩაღები დაძრწიან. სადა გაქვს ოქრო დატოვებული?

— სამზარეულოს მაგიდაზე.

— სისულელე გიქნია! — უთხრეს მეგობრებმა. — წამოდი, სოფლის მაღაზიაში წავიდეთ, ერთ კარგ ჩანთას გაყიდინებთ, ფულის შესანახად გამოგადგება.

ქალბატონი ტვედლი მაღაზიაში წავიდა, ნახა ჩანთა და მოეწონა.

— ავდგები და ვიყიდი, მართლაც კარგია ფულის შესანახად — თქვა მან.

— მართალია, მაგრამ ქურდები რომ მოვლენ, ჩანთას სულ ადვილად წაიღებენ, — უთხრა მაღაზიის პატრონმა.—იცი რა ქენი, ის ფული ჩანთაში შეინახე, იყიდე ერთი კარგი ყუთი და ჩანთა შიგ ჩადე. ყაჩაღი ვერ წაიღებს მძიმე ყუთს. აი, თუნდაც ეს ყუთი, როგორ მოგწონს? მძიმეც არის და ¦კოხტაც.

— შესანიშნავი ყუთია, — თქვა ქალბატონმა ტვედლიმ. — ვიყიდი. დარწმუნებული ვარ, ვერც ერთი ყაჩაღი ვერ წაიღებს მას. მე თავიც კი ძლივს ავუწიე.

— გასაღები კი გაქვს კარგი, სახლის დასაკეტად?! — ჰკითხეს ტვედლის მეგობრებმა. — თორემ, ხომ იცი, სანამ შენ შინ არ იქნები, ყაჩაღები ადვილად გააღებენ შენი სახლის კარს... ორ კაცს თავისუფლად შეუძლია ამ ყუთის აწევა. კარგი იქნებოდა კარებისათვის ახალი საკეტი და გასაღები გეყიდა. ასე უფრო საიმედო იქნება.

— აი, სწორედ მე მაქვს კარგი საკეტი და გასაღები, — თქვა მაღაზიის პატრონმა და ახალი საკეტი შესთავაზა ქალბატონ ტვედლის. ვერც ერთი ყაჩაღი ვერ შეაღწევს შენ სახლში, თუ ამ საკეტს დაუყენებ.

— შევიძენ ამ საკეტს და გასაღებს, — თქვა ქალბატონმა ტვედლიმ, — მაშინ ნამდვილად მშვიდად ვიქნები.

— მე მიგატანინებთ ნავაჭრს თქვენს სახლამდე, — შესთავაზა თავისი სამსახური მაღაზიის პატრონმა. მან და მისმა ვაჟმა წაიღეს ყუთი, ქალბატონმა ტვედლიმ კი ჩანთას მოკიდა ხელი. მაღაზიის პატრონმა დაუყენა კარებს საკეტი და ნავაჭრის უანგარიშა:

— ორი პაუნდი ჩანთისათვის, ექვსი პაუნდი დიდი ყუთისათვის, ერთი პაუნდი საკეტისა და გასაღებისათვის, ერთი პაუნდიც ჩემი სამსახურისათვის.

ქალბატონმა ტვედლიმ გადაუხადა და მაღაზიის პატრონი წავიდა. ქალბატონმა ტვედლიმ იფიქრა, ბარემ ჩავდებ ოქროს ჩანთაში, ჩანთას კი ყუთშიო... მაგრამ ოქროს ნასახიც აღარსად ჩანდა...

თქვენ კი იცით, რა იქნა ოქრო?

თარგმნა თამარ ანდრაზაშვილმა

მხატვარი გ. კეტრიაშვილი




აისი

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 8

გეორგიევსკის ტირაჟი — 200


## მეგობრობა გვეხმარება

მანგლისის 1-ლ საშუალო სკოლას უკვე თითქმის ორი წელია, რაც მეგობრული კავშირი აქვს დამყარებული ქ. გეორგიევსკის მე-5 საშუალო სკოლასთან. საგაზაფხულო არდადეგებზე, ჩვენი სკოლის დელეგაცია გეორგიევსკელ მეგობრებს ესტუმრა. დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის გეორგიევსკში გატარებული ოთხი დღე. გულთბილი შეხვედრები, ექსკურსიები კისლოვოდსკში, პიატიგორსკში, გეორგიევსკის არმატურის ქარხანაში. სამაისოდ გეორგიევსკელები გვეწვივნენ სტუმრად. ჩვენი სკოლა გულთბილად შეხვდა მათ. სტუმართა პატივსაცემად გავმართეთ მეგობრობის კაფე-საღამო, დავათვალიერებინეთ თვითონ დაბა მანგლისი, მანგლისის ხეივანი და ომში დაღუპულთა ობელისკი. გეორგიევსკელებმა გვირგვინით შეამკეს იგი. საღამოთი ჩატარდა კონცერტი. ჩვენი სტუმრები იყვნენ აგრეთვე გორში და თბილისში.

ორმხრივ შეთანხმების საფუძველზე ჩვენ და გეორგიევსკელ მეგობრებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება, რომლის შედეგები ყოველ 1 სექტემბერს ჯამდება. შარშან ჩვენ გავიმარჯვეთ, წლევანდელი შედეგები კი ჯერ არ დაჯამებულა.


ლეილა მელიქიშვილი,
მანგლისის 1-ლი საშუალო სკოლა, VII კლასი.




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტრაქტატს მივუძღვენით

გულმოდგინედ ვემზადებოდით ღონისძიებისათვის, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მივუძღვენით. მის მომზადებაში დიდი დახმარება გაგვიწია ქართულის მასწავლებელმა სულიკო შამუგიამ.

სადღესასწაულო განწყობილება სუფევდა მთელ სკოლაში. ზეიმზე მოწვეული გვყავდა საპატიო სტუმრები — რაიონის სახელოვანი ადამიანები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, სოფლის მოწინავე მშრომელები.

პირველად წარმოვადგინეთ შუშანიკისა და ქეთევან დედოფლის წამებული ცხოვრების ინსცენირება. შემდეგი ინსცენირება დავით გურამიშვილს მივუძღვენით. გახმიანდა „დავითიანის" უკვდავი სტრიქონები და სიმონ ჩიქოვანის „სიმღერა დავით გურამიშვილზე".

მეცხრეკლასელებმა წარმოადგინეს ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა", რომელიც ყველას განსაკუთრებულად მოეწონა.

მეშვიდეკლასელებმა სცენაზე გააცოცხლეს რევოლუციამდელი მუშის ბედი. მათ მიერ ამეტყველებულმა იროდიონ ევდოშვილის ლექსმა „მუშა და მუზა" მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა. დიდი გულწრფელობით განასახიერა მუშის როლი მაია თორიამ. ზეიმი პიონერთა ხმაწკრიალა სიმღერებით დასრულდა.

ფიქრია ჟოლგაია,
გალის რაიონის ნაბაკევის საშუალო სკოლა, VIII კლასი.

## გულთბილი შეხვედრები

ჩვენი სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი, რომელიც დანიელ ფერის სახელს ატარებს, ათ წელზე მეტია, რაც არსებობს. ამ ხნის განმავლობაში კლუბმა გარკვეული მუშაობა გასწია, მრავალი მეგობარი შეიძინა.

ჩვენი სოფლის პიონერთა ბანაკში ისვენებდნენ ესტონელი პიონერები, რომლებსაც ადრე მხოლოდ მიმოწერით ვიცნობდით. ჩვენ მათ გულთბილი შეხვედრა მოვუწყეთ. წერილებით დაწყებული მეგობრობა გულთბილმა შეხვედრებმა დააგვირგვინეს.

მაისში ჩვენმა სკოლამ მოაწყო გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ექსკურსია-კონფერენცია გმირ ქალაქ ვოლგოგრადსა და სტავროპოლის მხარის ორ ქალაქში — ნოვოალექსანდროვსკსა და გეორგიევსკში. ჩვენი კლუბი ნოვოალექსანდროვსკის მე-3 საშუალო სკოლასთან 1976 წლიდან მეგობრობს. ამ სკოლის წითელკვალმაძიებელთა რაზმმა, რომელსაც ზინაიდა აბდეევა ხელმძღვანელობს, აღმოაჩინა ჩვენი თანასოფლელის, დიდ სამამულო ომში დაღუპულ ბ. გახარიას საფლავი და ახლა ჩვენმა მეგობრებმა მის საფლავზე მიგვიყვანეს, ჩვენ იგი ყვავილებით შევამკეთ, ქართული მიწა დავაყარეთ გულზე ჩვენს დაღუპულ თანამემამულეს.

სკოლის დარბაზში ერთმანეთს ვუჩვენეთ ჩვენი შემოქმედება.

ნოვოალექსანდროვსკში ბევრი ახალი მეგობარი შევიძინეთ — ნატალია კარგავცევა, ირინა მალახოვა, გენადი დროზდოვი და სხვები.

ამასწინებზე ნატალია კარგავცევას ქართულად დაწერილი წერილი მოგვივიდა. მან ქართულად მოგვილოცა ბავშვთა დაცვის დღეც. ეს წერილი ახლა პიონერთა ოთახში ინახება.

თეკლა ჩიქოვანი, ნანა ჩალიგავა,
ჩხოროწყუს რაიონის მუხურის საშუალო სკოლა, VIII კლასი.

## „...და ჯილდოს კეთილ საქმისათვის ნურასდროს ითხოვ!"

გაზაფხულდა. აფუსფუსდა სოფელი. ნელ-ნელა აჭრელდა ფერდობები. მხოლოდ ერთ ვენახს მოუწყენია. უხმობს ვენახი პატრონს, მაგრამ ამაოდ... ქალი, რომელსაც ის ეკუთვნის, საწოლზე მიუჯაჭვავს ავადმყოფობას...

ომის დაწყებამდე ბედნიერი ქალი იყო მოხოროთუბნელი გალინა აზნარაშვილი. მერე ომმა იქუხა. ქმარი ფრონტზე წავიდა და იქიდან აღარ დაბრუნებულა. ბედმა ეს როდი აკმარა უბედურ ქალს: მისი საყვარელი ვაჟი, სოსო აზნარაშვილი, უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. მთელმა სოფელმა დაიტირა სოსო...

უჭირდა გალინას, ძალიან უჭირდა, მაგრამ კეთილი ადამიანები დახმარების ხელს უწვდიდნენ და დარდს უმსუბუქებდნენ.

ბებიას მოხუცებულობის ჟამს მხარში ამოუდგა შვილიშვილი, როსტომი. მაგრამ ახლა ის შორსაა, მხედრულ ვალს იხდის...

... იმ დღეს მწუხარე გალინა ბებია გულისტკივილით ფიქრობდა თავის გაუთოხნელ ვენახზე. ჰოდა, წარმოიდგენთ ალბათ, რარიგად გაუხარდებოდა, როდესაც სტუმრად ეწვივ-

## ბულბული გალობს

ჩუ! ყური უგდე —
ბულბული გალობს;
უგალობს ტყისპირ
ჩუხჩუხა წყაროს,
ხავსიან ხრამში
ღიღინა ღელეს,
ფართოფოთლიან,
გაბარჯღულ ხეებს,
სათნო შველსა და
ქორბუდა ირემს,
ყველას — ბუნების
უწყინარ შვილებს.
ჩუ! ყური უგდე —
ბულბული გალობს,
ხედავ? — ნათდება
მთელი სამყარო.

ლიანა თუთბერიძე,
თბილისის მე-10 საშუალო სკოლა, VIII კლასი.

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №8

ნენ ზედუბნის საშუალო სკოლის მოსწავლეები: მამუკა და გოჩა აზნარაშვილები, შალვა და ვიტალი ქვათაძეები, გელა დვალი, იროდი ყაველაშვილი, ხვიჩა გაფრინდაშვილი... მთელი დღე მუყაითად იმუშავეს ბიჭებმა. გალინა ბებიას უხაროდა, რომ ასეთი გამრჯე ბიჭები ეზრდებიან სოფელს.

საღამოს, როდესაც მასპინძელს დაემშვიდობნენ, ბიჭები, თვითონაც კმაყოფილნი იმით, რომ კეთილი საქმე გააკეთეს, მხიარული სახით და ვალმოხდილი ადამიანის დინჯი ნაბიჯით გაუყვნენ ორღობეებს.

ლალი უაველაშვილი,
ჭიათურა, ზედუბნის საშუალო
სკოლა, X კლასი



ბალერინა.
ირმა
გოგიაშვილი,
9 წლის,
მე-60 საშუალო
სკოლა.

## ნ ო დ ა რ შ ა მ ა ნ ა ძ ე

### ფშაველი ბიჭის სიმღერა

მიყვარს საქართველოს ზეცა,
მზის სხივებით გალამბული,
მინდა მისთვის გავიზარდო,
ვეთაყვანო ალალ გულით,
ავამაღლო ჩემი კუთხე,
მაღალ მთებით გარაგვული,
არაგველთა მოდგმისა ვარ,
სისხლი მიჩქეფს არაგვული.

### ბარათი სოფლად

ჩემო ძვირფასო ბებია,
ყურძენი შეგთვალებია,
ისე მოუჩანს მარცვლები.
თითქოს და გიშრის თვლებია.
თვალი გზისაკენ გიჭირავს,
ნუ მელოდები, ბებია!
ჩამოვალ რთველზე, ჩამოვალ,
თუ მამამ წამომიყვანა;
პაპას რომ გავათოხნინე,
ხომ დატაროვდა ის ყანა?

### წარსულის ცოდნა

რა ქართველი დადგება
შენგან, ჩემო ძამიკო,
თუ არ გინდა ისწავლო,
თუ არ გინდა გაიგო:
წინათ საქართველოში
ვინ იყო და რა იყო,
ერს ვინ edga დარაჯად,
მტრის ციხე ვინ აიღო,
მამულს თავი შესწირა,
მისთვის სისხლი გაიღო;
რა ტაძრები აშენდა,
რა ხიდები აიგო,
ხოდაბუნზე ვენახი
ნოხად როგორ გაიგო.
კარგად უნდა ისწავლო
ვინ იყო და რა იყო,
სასახელო ქართველი
გაიზრდები, ძამიკო!

### რაშოვდა

რაშოვდა, რაშოვდა,
ღელეს სიცხე აშრობდა,
ვეღარ მოიმღეროდა,
ვეღარ მოთამაშობდა,
გუბეებად გადიქცა.
ზოგან კიდეც აშმორდა.
ეს რომ ქარმა იხილა,
შეეცოდა ძალიან,
ცაში შეიჩავარდა
და ღრუბლები არია.
ცარს აჯობა ავდარმა,
სიცხეს ხელი დარია.
მზე მთას ამოეფარა,
დაწვა, თვალი მილულა,
წვიმამ წამოუშინა,
დასცხო კოკისპირულად.
ღელე უცებ ადიდდა
და ნაპირებს გაშორდა,
ისევ მოიმღეროდა,
ისევ მოთამაშობდა.

### თუშეთმა თქვა

საყვარელი საქართველოს
მეც ვარ ერთი კარგი მხარე,
მტრები ხროვად მესეოდნენ
და დიდხანს ვერ გავიხარე.
შავი წლების ბნელ ღამეებს
იმ იმედით ვათენებდი,
ჩემს მიწაზე ისევ მრავლად
რომ მყოლოდნენ ქართველები.
აღარ მაჩნდეს მკერდს იარად
ნასოფლარი, ნასახლარი,
რომ ვთვალო და ვერ დავთვალო
გასაოცარ-გასახარი.
გული უკვე მიდგას გულად,
მისრულდება ნატვრა დიდი,
ზეიმად და სიხარულად
შემოვიდა გზა და ხიდი.
ომალოში ზარი რეკავს,
ზარი სოფლის ცისკარია,
გოგონები, ბიჭუნები
სკოლისაკენ იჩქარიან.
აქ სწავლობენ მთის სიყვარულს,
განა მარტო განტოლებას,
იზრდებიან ჩემს მცველებად
და ჩემს ერთგულ პატრონებად.
მათ რომ ვუმზერ, მავიწყდება,
რაც წარსულმა იავარმყო;
დაფრთიანდით, მართვეებო,
თქვენით უნდა ვიამაყო.

მესაყვირე ბუკს დაუკრავს.

ახმიანდება დაფდაფი.

პიონერხელმძღვანელის განკარგულებაზე რაზმეულის აქტივი ხაზზე გამწკრივდება, შემდეგ კი პიონერული აქტივის სკოლის მეცადინეობის ადგილისაკენ დაიძვრება; თუ პიონერები ფეხს ვერ ააწყობენ, ბუკს კარგად ვერ დაუკრავენ და დაფდაფს სწორედ ვერ აახმიანებენ, რიტუალი რამდენჯერმე განმეორდება. განმეორდება, ვიდრე აქტივი სათანადოდ არ შეისწავლის მას.

პიონერულ აქტივისტს მწყობრში ლამაზად სიარული უნდა შეეძლოს. თუ მწყობრი სიმღერას წამოიწყებს, თითოეული უნდა აყვეს მას. სიმღერა სიმხნევეს შემატებს.

ასე დაიწყება აქტივის სკოლის ყოველი მეცადინეობა.

შემდეგ, რაზმეულის პიონერული აქტივი რუსული ასო „П-ს" მსგავსად ხაზზე მოეწყობა და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარის ბრძანებით რაზმებად დაყოფილი, პატაკების ჩაბარებას დაიწყებს. ესეც ვარჯიში იქნება, სწავლება.

შეიძლება პატაკის ჩაბარებისას შევაჩეროთ რომელიმე — ზოგს სალამი შევუსწოროთ, ზოგს გამორბენი, ზოგსაც გამოთქმა; მერე რა მოხდა, ეს არავის უნდა გაუკვირდეს და არც უნდა ეწყინოს. აქტივის სკოლის მეცადინეობაზე პიონერი პრაქტიკულად სწავლობს პიონერულ რიტუალებს, რათა შემდეგ სხვებს ასწავლოს ისინი.

პირველ მეცადინეობაზე საუბარი პიონერულ დავლებას მიეძღვნება. — დავალება ხომ შენი ორგანიზაციისაგან მიიღე, სულ ერთია, ვინ მოგცემს მას; სულ ერთია ისიც, როგორი იქნება ეს დავალება — დიდი თუ მცირე. მთავარია, რომ შენ მიიღო პიონერული დავალება, — ეს დიდი პატივიც არის და პასუხისმგებლობაც. პიონერმა კარგად უნდა მოიფიქროს, როგორ იმოქმედოს, რა არის საჭირო, რომ ამხანაგების წინაშე თავი




ნათელა ფაილოძე

## აქტივის სკოლა დაგეხმარებათ

არ შეირცხვინოს, სანიმუშოდ შეასრულოს მინდობილი საქმე და დღეის გასაკეთებელი არასოდეს სხვა დღისათვის არ გადადოს. თუ იგი ხედავს, რომ დათქმულ ვადებში საქმეს თავს ვერ გაართმევს, დახმარებისათვის უნდა მიმართოს იმას, ვისგანაც დავალება მიიღო — ასეთია პიონერული ცხოვრების კანონი.

პირველივე მეცადინეობაზე თვითონ პიონერებიც იტყვიან თავიანთ დავალებებზე, სჯა-ბაასში უსათუოდ ახალი წინადადებებიც დაიბადება. გამოცდილები ახალბედებს თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ.

პიონერული დავალება, მუდმივი თუ დროებითი, უნდა მიეცეს ყოველ პიონერულ რგოლს, რაზმს. დავალების განაწილების დროს აუცილებელია ცალკეული პიონერების და კოლექტივის ინტერესების გათვალისწინება, დავალების კონკრეტულად განსაზღვრა. აუცილებელია პიონერული დავალების შესრულების შედეგების კოლექტიური განხილვა.

პირველ მეცადინეობაზე დამტკიცდება აქტივის სკოლის მუშაობის კალენდარულ-თემატური გეგმა, მოინიშნება სასაუბრო თუ პრაქტიკულ მეცადინეობათა საკითხები.

მთავრდება მეცადინეობა. ყველა ფეხზე დგება. კვლავ დაუკრავს ბუკი. პიონერული აქტივი სამწყობრო ნაბიჯით და პიონერული სიმღერით ტოვებს დარბაზს, სადაც აქტივის სკოლის მეცადინეობა მიმდინარეობდა.

პირველი მეცადინეობის შემდეგ იმავე დღეს სკოლის პიონერთა ოთახში და დერეფნებში თვალსაჩინო ადგილზე ჩნდება წარწერა: „გახსოვდეს, პიონერული აქტივის სკოლის მეცადინეობის დღეა ყოველი თვის ბოლო შაბათი" (ან ის დღე, რომელსაც თვითონ აქტივი აირჩევს).

მორიგ მეცადინეობას პიონერული აქტივი მიუძღვნის რაზმის ხელმძღვანელებთან შეხვედრას. გაიმართება საუბარი თემაზე: „ჩვენი წინამძღოლი — კომკავშირი!" შემდეგ კი აქტივს ჩაუტარდება პრაქტიკული მეცადინეობა, პიონერები კედლის გაზეთის მომზადებაზე იმუშავებენ.

მომდევნო თვეში აქტივი კვლავ შეიკრიბება (თბილისის და მისი მახლობელი რაიონების სკოლების რაზმეულებს შეუძლიათ კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში ბორის ძნელაძის ძეგლთან მოაწყონ ხაზი. გაეცნონ ახალგაზრდობის ქალაქს, ესტუმრონ ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ფილიალს თუ მეგობრობის მუზეუმს).

მორიგ მეცადინეობაზე აქტივი ხაზის შემდეგ მოისმენს ოქტომბრელთა ვარსკვლავების ხელმძღვანელთა ანგარიშებს იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს თამაში — „ოქტომბრელები ოქტომბრის ქვეყანაში".

ცალკე პრაქტიკული მეცადინეობა მიეძღვნება რაზმეულში სამხედრო-პატრიოტული სიმღერების ზეიმის მომზადებასა და ჩატარებას. შეგახსენებთ საკითხებს, რომლებიც შეიძლება პიონერული აქტივის სკო-

ლის მეცადინეობაზე მსჯელობის საგნად გახადოთ;

რგოლის, რაზმის მუშაობის დაგეგმვა, გეგმის კოლექტიურად შედგენა, საქმის შესრულების ვადის განსაზღვრა, კონტროლი გეგმის შესრულებაზე, შედეგების დაჯამება;

საინტერესო საქმეების დაზვერვა პიონერული მოქმედების ზონაში;

გამოცდილების გაზიარება. პირველი, მეორე, მესამე სიმაღლის პიონერთა რაზმის საბჭოების თავმჯდომარეთა ინფორმაციების მოსმენა იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვის რაზმი თუ რგოლი ღრმა და საფუძვლიანი ცოდნის შესაძენად;

„პიონერმშენი“, პიონერთა აქტიური მონაწილეობა პიონერული საქმეების ხუთწლედში, სამწყობრო მომზადება;

რაზმისა და რაზმეულის შეკრებები; საუბარი ნორჩ ლენინელთა უფლებებსა და მოვალეობაზე;

პიონერული სიმღერების, ცეკვების, მასობრივი თამაშობების შესწავლა;

პიონერული მოქმედების ზონა;

აქტივის შეხვედრა სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების, საკავშირო ალკკ XIX და საქართველოს XXXII ყრილობების დელეგატებთან. მზადება ზეიმისათვის: „მხარს ვუსწორებთ კომუნისტებს, კომკავშირელებს“;

მზადება კონფერენციისათვის: „საბჭოთა ქვეყნის პიონერები ლენინის საქმის ვართ ერთგულები!“ (გამოცდილების გაზიარება);

პიონერული „შრომითი საათი“ (შაბათობები კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, ქარხანასა და ფაბრიკაში);

პიონერული მწყობრისა და სიმღერების დათვალიერება;

სპარტაკიადა — „მხიარული სტარტები“, „მშთ“ ნორმების ჩაბარება, „ცისკარი“, „ესკადრილია ჯაბ-800“.

ლაშქრობა საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში; შეჯიბრება ტურისტული ჩვევების გამოსავლინებლად;

მზადება 2 ოქტომბრის საკავშირო რადიოხაზისათვის.

პიონერული აქტივის სკოლის მეცადინეობაზე მხედველობიდან არ უნდა გამოგრჩეთ პიონერული კალენდრით ნაკარნახევი თარიღები. მაგალითად, წლეულს, 13 სექტემბერს 60 წელი სრულდება საბჭოთა კავშირის გმირის ზოია კოსმოდემიანსკაიას დაბადებიდან. ეს თარიღი, აქტივის გულმოდგინეობით ღირსეულად უნდა აღინიშნოს რაზმში.

2 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა. ამ დღესვე გავიხსენებთ კომკავშირის III ყრილობაზე ლენინის ცნობილ გამოსვლას — „ახალგაზრდობის კავშირის ამოცანები“.

7 ოქტომბერი სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეა, 29 ოქტომბერი კომკავშირის დაბადების დღე (1918 წ.) და ასე შემდეგ.

აქტივის სკოლის თითოეული მეცადინეობიდან ნორჩ ლენინელს თან უნდა გაჰყვეს პიონერული ცხოვრების კანონის ასეთი განმარტება:

— რასაც არ უნდა აკეთებდეს, რა უმნიშვნელო საქმესაც არ უნდა მოჰკიდოს ხელი პიონერმა, ყველაფერი კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს, ბოლომდე პირნათლად უნდა მოიხადოს ვალი! ამ საქმეში რგოლის ხელმძღვანელებს, რაზმის საბჭოს წევრებს, თავმჯდომარეებს, კედლის გაზეთის რედაქტორებს, ყველა პიონერს, ვისაც კი მუდმივი თუ ერთდროული დავალება აქვს, უფროს პიონერხელმძღვანელს, რაზმის ხელმძღვანელებს, პიონერულ რაზმთან მომუშავე ყველა ადამიანს დაეხმარება რაზმეულში მოქმედი პიონერული აქტივის სწავლების სკოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური იუმორი

●

ფრაუ დაიკე: მინდა ჩემს ვაჟიშვილს უცხოური ენა შეასწავლოთ.

პროფესორი: სიამოვნებით. ოღონდ რომელი: ფრანგული, იტალიური, ესპანური?..

ფრაუ დაიკე: მაგათში ყველაზე უფრო უცხოური რომელია?

●

— დარწმუნებული ვარ, რომ ორი ერთნაირად მოაზროვნე ადამიანი არ არსებობს.

— აგრე არ იტყოდი, ის საჩუქრები რომ გენახა, რომლებიც დაბადების დღეს მომართვეს.

●

— ქექა-ქუხილის დროს კატას ბეწვი რომ აუბურძგნო, რა გეცემა თვალებში?..

— კატა, ბატონო მასწავლებელო.

●

პირველკლასელი პირველ დღეს სკოლიდან ამაყად დაბრუნდა და მშობლებს ახარა, მასწავლებელი გამომელაპარაკაო.

— რა გითხრა? — ჰკითხა მამამ.

— ბიჭო, წყნარად იჯექიო.

●

— მამაჩემს სულ ადვილად შეუძლია დიდი ქვის აწევა, — დაიტრაბახა ბიჭუნამ.

— მამაჩემს სამი იმოდენა ქვის აწევა შეუძლია, — შეეცილა მეორე.

— მამაჩემი კი სულაც არ სწევს ქვას, მას მოადგილე ჰყავს, — ამაყად დასძინა მესამემ.

●

მამამ შვილი ზოოპარკში წაიყვანა. ვეფხვის გალიასთან ფირნიში ეკიდა წარწერით: „ფრთხილად, შეღებილია!“

გოგონამ დიდხანს უყურა ვეფხვს და იმედგაცრუებულმა თქვა:

— მე კი მეგონა, ზოლები ნამდვილი იყო.

გერმანულიდან თარგმნა
შ. ამირანაშვილმა

## პასუხი 1983 წლის № 1-ში დასმულ კითხვებზე



# მაღალაანთ ეკლესია

მაღალაანთ ეკლესია მდებარეობს კასპის რაიონში, სოფელ წინარეხიდან 2,5 კილომეტრზე, მდინარე კავთურას მარცხენა ნაპირას. იგი განმარტოებით დგას მთის კალთაზე, გარშემორტყმულია ხეხილის ბაღებითა და მთებით, ბუნებრივად ერწყმის ლაღ და მონუმენტურ გარემოს. მახლობლად ქვათახევის მონასტერი და კავთის წმ. გიორგის ეკლესიაა.

წერილობითი წყაროები არაფერს გვაუწყებს აგების თაობაზე. მოკლე ცნობა მაღალაანთ კარის შესახებ აქვს ვახუშტი ბატონიშვილს თავის ცნობილ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. 1847 წელს ეკლესია მოინახულეს პლატონ იოსელიანმა და მარი ბროსემ, რომლებიც დაინტერესდნენ მისი წარწერებით. ცნობილმა რუსმა მხატვარმა და მკვლევარმა გ. გაგარინმა 1847 წელს პარიზში გამოცემულ ალბომში „თვალწარმტაცი კავკასია“ მოათავსა ეკლესიის სამლოცველოს მაღალაძეების პორტრეტული ფრესკის ფოტო. ძეგლის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ცნობილი ქართველი ისტორიკოსები დიმიტრი ბაქრაძე და ივანე ჯავახიშვილი, აგრეთვე გ. კანდელაკი, ლ. მელიქსეთბეგი, თ. ყაუხჩიშვილი.

მაღალაანთ ეკლესია მეცნიერულად შეისწავლა აკად. ვახტანგ ბერიძემ. 1959 წელს მან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ინსტიტუტის შრომებში „ქართული ხელოვნება“ გამოაქვეყნა ვრცელი და ამომწურავი გამოკვლევა, რომელშიც განსაზღვრა ძეგლის თარიღი და ადგილი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიაში.

მაღალაანთ ეკლესია სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი ხუროთმოძღვრული კომპლექსია.

ამჟამად მის გარშემო ფეოდალური ხანის შენობები და ნანგრევებია, გარს გალავანი აკრავს. კომპლექსის ძირითადი, ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ნაგებობა — ეკლესიის „მცირე შენობა თავისი მხატვრული ღირსებებით უყოყმანოდ შეიძლება მივაკუთვნოთ ჩვენი წარსულის საუკეთესო ძეგლთა რიცხვს“ (ვახტ. ბერიძე). აქ ყველაფერს დახვეწილი გემოვნების მქონე ოსტატის ხელი ეტყობა. აღსანიშნავია ფაქიზად და სუფთად დამუშავებული ქვის წყობა, მდიდარი და გემოვნებით შესრულებული მორთულობა, კომპოზიციური მთლიანობა, რომელიც ავტორის ინდივიდუალობას ამჟღავნებს, მხატვრული და ზუსტი პროპორციები, ხეობაში შერჩეული საუკეთესო ადგილი და ქართული ხუროთმოძღვრებისათვის ეგზომ დამახასიათებელი სივრცის შეგრძნობის უტყუარი ალღო. მაღალაანთ ეკლესია ქართული ხუროთმოძღვრების მეორედ აყვავების ხანის ძეგლია და ისტორიულად ემთხვევა ქართული სახელმწიფოს განმტკიცებისა და ეკონომიკური აყვავების ჟამს.

ძეგლის დღევანდელი სახელწოდება გვიანდელია, დაკავშირებულია ამ მიწა-წყლის მფლობელ მაღალაძეთა (მაღალაშვილთა) გვართან. საბუთებში კი ის ცნობილია ბეთლემის ღვთისმშობლის ეკლესიის სახელწოდებით. მას ჰქონდა სხვა სახელიც — ქადაგის ან საქადაგო მონასტერი. XV საუკუნეში იგი გადაეცა მცხეთის სვეტიცხოვლის ქადაგის — მაღალაძის გვარს. მაღალაძეები საკმაოდ ძლიერი აზნაურები იყვნენ. აქ მათ თავიანთი სამფლობელო გაიჩინეს, ტაძარი მათი კარის ეკლესია იყო და არა მონასტერი. დღეს აქ მდგომი კოშკები და სამრეკლო მაღალაძეებმა XVII-XVIII საუკუნეებში ააგეს. 1677 წელს ეკლესია შეაკეთა ქადაგმა ნიკოლოზ მაღალაძემ, შემდეგ ეკლესიის შიგნით ახალი კანკელი აღმართეს, კედლები მოხატეს. ამავე ხანებში მოიხატა პაპუა მაღალაძის სამრეკლოც — ორსართულიანი კოშკის პირველი სართული. თავის დროზე ეკლესიასთან იდგა მაღალაძეთა აგებული სხვა შენობებიც, რომლებიც დროთა განმავლობაში დაინგრა.

XVIII საუკუნის ბოლოს მაღალაანთ ეკლესია უკვე მიტოვებულია — სოფელ წინარეხში იყო ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია (მოქმედებდა რევოლუციამდე), ამიტომ სოფლის გარეთ მდგომი მაღალაძეების ეკლესია სოფელს აღარ აინტერესებდა. შენობები დაინგრა, მაგრამ კომპლექსის ძირითადი ნაგებობა — ეკლესია, საბედნიეროდ, დღემდე შემორჩა პირვანდელი სახით.

მაღალაანთ ეკლესიის აღმოსავლეთით ახლა დანგრეული კოშკია. სამხრეთით — 1716 წლით დათარიღებული სამრეკლო. ეკლესიის ეზოში შესასვლელი სწორედ ამ სამრეკლოს პირველი სართულია, გალავნის შიგნით ეკლესიის გარდა, არის ორსართულიანი სამრეკლო, რომელიც შემდეგ პაპუა მაღალაძემ სამლოცველოდ გადააქცია. მთის კალთაზე სამეურნეო ნაგებობის ნანგრევია. აქვეა დიდი ქვევრი, გარშემო ლოდები ყრია, კიდევ უფრო ზევით სხვა ნანგრევია, მასთან ახლოს ოთხსართულიანი კოშკია, რომელიც, წარწერის თანახმად, 1679 წელს აუგია პაპუა მაღალაძეს.

ეკლესია გეგმით ცალნავიანი ნაგებობაა, გადახურულია ცილინდრული კამარით, რომელიც დამშვენებულია საბჯენი თაღებითა და პილასტრებით, ჩაწერილია სწორკუთხედში, აქვს ნახევარწრიული აფსიდი, ერთი შესასვლელი სამხრეთიდან. აქვეა მიშენებული სტოა, რომელიც მთლიანად გასდევს სამხრეთის ფასადს. ჩრდილოეთის კედელი ყრუა. შიგა სივრცე ოთხი სარკმლით ნათდება, საკურთხეველს ორი მცირე თახჩა აქვს, საკურთხევლის სარკმლის მარჯვნივ მოზრდილი შესასვლელია კონქის თავზე ასასვლელად. საკურთხეველში არის XVII საუკუნეში შესრულებული ქვისა და აგურის მასიური კანკელი. შენობის ზედა ნაწილი თავდაპირველი არ არის. ქვა-ყორით ნაშენი კედლის უხეში ზედაპირი ახლა არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, თავის დროზე კი ის ფრესკებით იყო დაფარული. მხატვრობის ფრაგმენტები ახლაცაა შემორჩენილი. ქართული ფერწერისათვის ამ ეკლესიის ფრესკების დაღუპვა მნიშვნელოვანი დანაკლისია. სამხრეთ ფასადზე მიშენებული სტოა ჩვენში უკვე XI საუკუნიდან გავრცელებული ტიპის ნაგებობაა, — იგი ასიმეტრიული, ვიწრო და გრძელია, გაყოფილია სამ ნაწილად... მაღალაანთ ეკლესიის შესასვლელი გულმოდგინედ არის მოჩუქურთმებული, გახსნილია ფართო თაღით და მკვეთრად იხაზება მასიური კედლის ფონზე.

სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს ეკ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს?

ბავშვებო, მოგვწერეთ, რა არის ამ ფოტოზე აღბეჭდილი და რა იცით მის შესახებ.



ლესია პროპორციების თვალსაზრისით. იგი მსუბუქია და მაღლაა აზიდული. ამასთან, ძეგლის საშემსრულებლო დონეც მაღალია, იგი მოპირკეთებულია კარგად გათლილი და ფაქიზად დამუშავებული ქვის კვადრებით, ქვები არათანაბარი სიდიდისაა, წყობის რიგების სიმაღლეც განსხვავებულია; ჰორიზონტალური ნაკერები, მცირე გამონაკლისის გარდა, ერთ რიგშია ჩასმული. ძეგლი შეაკეთეს 1937 და 1941 წლებში. ამ დროს აღადგინეს მთელი სახურავი, თუნუქით გადახურეს, შესასვლელში ჩუქურთმიანი ქვების ადგილას უბრალო ქვები ჩასვეს, განაახლეს ჩრდილოეთის კედლის შუა წყობაც. ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადის ქვის წყობა და ორნამენტის ნაწილი ჯერ კიდევ XVII საუკუნეში განუახლებიათ. ეტყობა, შეკეთებულია სამხრეთის ფასადიც.

ხუროთმოძღვრული ფორმებიდან ძალზე საინტერესოა ეკლესიის ცოკოლი და ლავგარდანი. ლავგარდანი სადაა, მხოლოდ ლილვების ოდენობაა გაზრდილი. ასეთი ლავგარდანი XII-XIII საუკუნეებში გვხვდება, ამ ფორმას ზოგჯერ გვიანდელი ლავგარდანიც იმეორებს. ცოკოლი შემკულია ფაქიზად გათლილი ლილვებით (ლილვები ქართულ ხუროთმოძღვრებაში მხოლოდ XII საუკუნის ბოლოდან შემოვიდა).

მაღლაანთ ეკლესიის ყველაზე დამახასიათებელი თავისებურება მაინც ორნამენტული გაფორმებაა. დეკორაციულ სამკაულთაგან ძირითადია ფასადების სისტემა, რომელიც ქართულ ხუროთმოძღვრებაში XI საუკუნიდან გავრცელდა და სხვადასხვა ვარიანტით ვითარდებოდა. სარკმელები მორთულია ორმაგი გრეხილლილვებიანი ჩარჩოთი. ასეთი სისტემა დამახასიათებელია XII-XIII საუკუნეების ძეგლებისათვის. ორნამენტი დახვეწილია, მათი ფორმა XII-XIII საუკუნეების მიჯნას უნდა მივაკუთვნოთ. მაღლაანთ ეკლესიის ფასადეების კომპოზიცია დინამიკურია, თაღოვანი სისტემა მაღლაა აზიდული, მთავარი აქცენტი სარკმელთა გაფორმებაზეა გადატანილი. ფასადის აზიდულობა ყველაზე მეტად დასავლეთით იგრძნობა. რთულია სამხრეთის ფასადი — აქ აგებული სტოას გამო. ეკლესიის ოსტატს მასშტაბის საუცხოო გრძნობა ჰქონია. ლავგარდანისათვის მას ისეთი ორნამენტი აქვს შერჩეული, რომელიც შორიდან ადვილად იკითხება, რადგანაც ჩუქურთმა აქ ფართო, სადა და, ცხადია, თანაც მონუმენტური. სტოას ლავგარდანზე, რომელიც ადამიანის სიმაღლეზეა, წვრილი და მსუბუქი ნახატია. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა, ძეგლი აღორძინების პერიოდის (XII-XIII სს) ნიმუშად ჩაითვალოს.

მაღლაანთ ეკლესია მხატვრულად შეიძლება შევადაროთ ბეთანიასა და ქვათახევს. იგი ნათლად მეტყველებს, თუ განვითარების რა მაღალ დონეზე იყო XII-XIII საუკუნეებში ჩვენი ხუროთმოძღვრება. მაღლაანთ ეკლესიის ოსტატს ნათლად ჰქონდა გარკვეული თავისი მხატვრული ამოცანა და ოსტატურადაც შეასრულა დასახული მიზანი. ამიტომ არის, რომ ეს ძეგლი დღესაც აღელვებს მნახველს.

ა. ჩხარტიშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

# ჰათჰა-იოგა გვირჩევს

ალექსი იაკობაშვილი

მას შემდეგ, რაც მოსამზადებელ ვარჯიშებს გაივლით, შეგიძლიათ სხეულის პოზებზე, ასანებზე გადახვიდეთ.

დღეს ჩვენ შევეცდებით გაგაცნოთ რამდენიმე ყველაზე საჭირო, ძირითადი და ამავე დროს თქვენთვის შედარებით ადვილი პოზა. ყველა მათგანი საკმაოდ დიდხანს ჯდომას მოითხოვს, და თუ თქვენ შეძლებთ თუნდაც 15 წუთი დაჰყოთ პოზაში, აზრების მოკრება საგრძნობლად გაგიადვილდებათ.

როცა ამა თუ იმ პოზას მიიღებთ, იფიქრეთ: მე ურყევი ვარ, ვერაფერი მაიძულებს გავინძრე. ცოტა ხნის პრაქტიკის შემდეგ თავისუფლად შეძლებთ გაუნძრევლად დაჰყოთ საჭირო ხანი.

ვარჯიში დაიწყეთ ხუთი წუთიდან და თანდათან გაზარდეთ დრო, თუ ტკივილს იგრძნობთ, პოზა მოშალეთ, ფეხები მოადუნეთ და დაჯექით. უმჯობესია, პოზები დილა-საღამოს შეასრულოთ. პოზას რომ დაიკავებთ დახუჭეთ თვალები და ეცადეთ მზერა და ყურადღება წარბებს შორის წერტილზე მიაპყროთ, ამ გზით თქვენ აზრებს მოუყრით თავს. შემდეგ მზერა ცხვირის ბოლოზე მიმართეთ და ეცადეთ აზრებიც აქეთკენ მიმართოთ. იჯექით გამართულად, ეცადეთ თავი, კისერი და ტანი ერთ სწორ ხაზზე გეჭიროთ.

### საწყისი პოზა
(სურ. 1)

ქუსლები ერთმანეთს შეახეთ, იდაყვებით მუხლებს დაეყრდენით, ხელისგულები ერთმანეთს მიატყუპეთ, ნიკაპით ოდნავ დაეყრდენით შეერთებული ხელების თითების ბოლოებს.

### სიმეტრული პოზა
(სურ. 2)

დაჯექით, ფეხები გადააჯვარედინეთ. ხელები ჩამოუშვით. მარცხენა ხელით მარჯვენა ფეხის თითები დაიჭირეთ, მარჯვენათი კი — მარცხენა ფეხის თითები. ეს პოზა ხშირად შეანაცვლეთ სხვა პოზებს, ხშირად დაუბრუნდით მას, რადგან ეს საშუალებას მოგცემთ ტანის ზედა ნაწილი სწორად გეჭიროთ.

### ნახევრად ლოტოსის პოზა
(სურ. 3. ა. ბ.)

დაჯექით იატაკზე. ზურგი გამართეთ, ფეხები გაჭიმეთ, მარჯვენა ფეხის ტერფი დაიდეთ მარცხენა ფეხის ზედა ნაწილზე, შემდეგ აამოძრავეთ მარჯვენა მუხლი ზემოთ და ქვემოთ, ეცადეთ მუხლით იატაკს შეეხოთ. თუ მარჯვენა ფეხის მარცხენაზე დადება გაგიჭირდათ, იგი იატაკზე დადეთ ისე, რომ ტერფი მარცხენა ფეხს ეხებოდეს, ფეხი იატაკზე დააჭირეთ. პოზის მიღების შემდეგ ჩაისუნთქეთ, ამოსუნთქვისას წინ გადაიხარეთ და ხელები მარცხენა ფეხის თითებს, ქუსლს ან კოჭებს მოკიდეთ, მარცხენა მუხლი არ მოხაროთ. ამ მდგომარეობაში რამდენიმე წამს დარჩით, შემდეგ ნელა დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. იგივე ვარჯიში შეასრულეთ მეორე ფეხით.

ნახევრად ლოტოსის პოზა აუმჯობესებს ხერხემლის ტონუსს, ამაგრებს ფეხის კუნთებს.

### ლოტოსის პოზა
(სურ. 4)

ეს იოგების ყველაზე ცნობილი პოზაა და იგი განსაკუთრებით ბავშვებსა და ახალგაზრდებს უადვილდებათ.

მარჯვენა ტერფი დაიდეთ მარცხენა ბარძაყის ზედა ნაწილზე, შემდეგ კი მარცხენა ტერფი — მარჯვენა ბარძაყზე. ხელები თავისუფლად დაიწყვეთ მუხლებზე ისე, რომ ხელისგულები მუხლებს ფარავდეს ან ზევით იყოს მიმართული.

თუ შეატყვეთ, რომ ორივე ფეხით ვერ ასრულებთ ამ პოზას, მაშინ ჯერ მხოლოდ ცალი ფეხით ივარჯიშეთ, მეორე კი იატაკზე გაჭიმულ მდგომარეობაში იქონიეთ.

### კობრის პოზა
(სურ. 5. ა. ბ.)

დაწექით მუცელზე, მოადუნეთ ყველა კუნთი. ხელის მტევნები დააწყვეთ ზუსტად მხრების ქვეშ: სხეული მუცლიდან ფეხის თითებამდე იატაკს უნდა ეხებოდეს. ასწიეთ თავი და ტანის ზედა ნაწილი ისე, როგორც ამას კობრა აკეთებს. ზურგი შიგნით უნდა გაღუნოთ, ზურგისა და წელის ყველა კუნთი მოადუნოთ. ნელა დაუშვით თავი მის ნორმალურ მდგომარეობამდე. ამ დროს ნიკაპი მკერდს უნდა შეეხოს. ნელა ჩაისუნთქეთ ცხვირიდან. თავის აწევის დროს სუნთქვა შეიკავეთ, ხოლო


(სურ. 1)


(სურ. 2)


(სურ. 3)


(სურ. 4)

როცა თავს აწევთ, შეგიძლიათ ნელა ამოისუნთქოთ. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ აწევის დროს მენჯი და ხელების ქვედა ნაწილი იატაკზე რჩებოდეს. აწევა-დაშვება შეასრულეთ ნელა. პოზის დამთავრებისას კუნთები მთლიანად მოადუნეთ.

კობრას პოზა აუმჯობესებს მადას, კურნავს ნაწლავების გაუვალობას. მან შეიძლება განკურნოს ხერხემლის დეფორმაცია, წელის ტკივილი და რევმატიზმი.

### ალმასის პოზა
(სურ. 6)

ეს გაუნძრეველი პოზა წააგავს პოზას, რომელშიც მაჰმადიანები ლოცულობენ. იგი ამაგრებს მუხლებს, აძლიერებს ხერხემალს.

დაჯექით ქუსლებზე. ფეხისგულები ერთმანეთის საწინააღმდეგო მხარეს შეატრიალეთ. კანჭები ბარძაყებს უნდა ეხებოდეს. ფეხის ნაწილი თითებიდან მუხლებამდე იატაკზე უნდა იდოს. ტანის მთელი სიმძიმე მუხლებსა და კოჭებს აწვება, ამიტომ პირველ ხანებში ამ არეში ტკივილს იგრძნობთ, რომელიც მასაჟის მერე უმალ გაივლის. ტერფებისა და მუხლების შესაბამის მდგომარეობაში განლაგების შემდეგ ხელის მტევნები ბრტყლად დაიწყვეთ მუხლებზე. მუხლები ერთად გეჭიროთ. ისე დაჯექით, რომ ტანი, კისერი და თავი სწორ ხაზს ქმნიდნენ.

ალმასის პოზა ძალიან სასარგებლოა აზროვნებისათვის. იგი ამაგრებს ფეხის ნერვებსა და კუნთებს, არჩენს ფეხის თითებისა და მუხლების რევმატიზმს.

### კომბინირებული ზურგის პოზა
(სურ. 7 ა, ბ.)

ამ პოზაზე გადასვლა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ალმასის პოზას სრულყოფილად დაეუფლებით.

დაწექით ზურგზე ისე, როგორც ალმასის პოზაში, ხელის თითები ერთმანეთს გადააჭდეთ ისე, რომ ხელების მტევნებზე თავის დადება შეიძლებოდეს.

ეს პოზა ხელს უწყობს ხერხემლის ელასტიკურობის შენარჩუნებას, სიმრუდის შემთხვევაში მის გასწორებას.

### არწივის პოზა
(სურ. 8)

მარცხენა ფეხი სწორად დადგით იატაკზე, შემოახვიეთ მას მარჯვენა ფეხი ისე, როგორც ხვიარა მცენარე ეხვევა ხეს. მარჯვენა ბარძაყი მარცხენაზე უნდა იყოს შემოხვეული. ასეთსავე მდგომარეობაში განალაგეთ ხელებიც, თან ეცადეთ თითებით არწივის ნისკარტი გამოსახოთ. ხელები ზუსტად სახის წინ დაიჭირეთ. ვარჯიშის დროს შეანაცვლეთ ფეხები და ხელებიც. პოზის მიღების შემდეგ მუხლები მოხარეთ, ძირს დაეშვით და შეეცადეთ იატაკს იმ ფეხის თითებით მიწვდეთ, რომელიც მეორეზეა შემოხვეული. ამ მოძრაობის შესასრულებლად შეგიძლიათ დაიხმაროთ ვინმე.

არწივის პოზა ამაგრებს ზედა და ქვედა კიდურების ნერვებს და ძვლებს, ავითარებს ხელებსა და ფეხებს, ამაგრებს ხერხემალს.


(სურ. 9 ა. ბ.)

### წრიული ბრუნვის პოზა

ამ პოზის შესრულება განსაკუთრებით ბავშვებს უადვილდებათ, რადგანაც მათ ელასტიკური ზურგი აქვთ.

დადექით პირდაპირ, ხელები მაღლა ასწიეთ და ნელა გადაიხარეთ უკან ისე, რომ სხეულმა რკალი შექმნას. განაგრძეთ დახრა და როდესაც ხელები წელის დონემდე დაეშვება, ნელა მოხარეთ მუხლები. ხელებით იატაკს უნდა შეეხოთ. ნუ იჩქარებთ, იმოძრავეთ ნელა და ეცადეთ წონასწორობა შეინარჩუნოთ.


(სურ. 5. ა. ბ)


(სურ. 6)


(სურ 7. ა, ბ.)


(სურ. 8)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ვარჯიშები კედელთან და სხვისი დახმარებით შეასრულეთ. (სთხოვეთ უფროსებს, წელი დაგიჭირონ).

წრიული პოზა ტანის ყველა ნაწილისთვის არის სასარგებლო. თუ შეატყობთ, რომ პოზის დიდხანს შენარჩუნება გიჭირთ, დაწექით იატაკზე და შემდეგ კვლავ გაიმეორეთ პოზა.

### ბარისაგან სხეულის გათავისუფლების პოზა
(სურ. 10. ა. ბ.)

ეს გახლავთ ბოლო პოზა და ამიტომ იგი სხვა პოზის შემდეგ უნდა შევასრულოთ.

იატაკზე რბილი ქსოვილი გაშალეთ და ზედ დაწექით. ყველა კუნთი დაჭიმეთ (სურ. 10 ა.), შემდეგ კი მთლიანად მოადუნეთ (სურ. 10 ბ). ხელები თავისუფლად დააწყვეთ გვერდებზე. ფეხები მთლიანად გაშალეთ მხოლოდ ისე, რომ ქუსლები ერთად იყოს, ფეხის თითები კი — ოდნავ განზე. თვალები დახუჭეთ და ნელა ჩაუნთქეთ. მოადუნეთ ყველა კუნთი, ნერვი, ორგანო. წარმოდგენით შეავლეთ ყველა მათგანს თვალი ქვემოდან ზემოთ, ჯერ ფეხის თითები მოადუნეთ, შემდეგ ფეხის, ტანის, ხელის ქვედა და ზედა ნაწილების კუნთები, კისრისა და სახის კუნთები. ასევე მოდუნებული უნდა იყოს მუცლის ღრუს ორგანოები, გული, ფილტვები და ა. შ. მშვიდად იაზროვნეთ 15 წუთის განმავლობაში, არ დაგეძინოთ კი!

ეს პოზა დიდ სიამოვნებას მოგგვრით, მისი შესრულება ლოგინშიც შეგიძლიათ.

გათავისუფლების პოზა სხეულს სრულ სიმშვიდეს ანიჭებს, სულიერად ასვენებს ადამიანს. ამ დროს კუნთები აქტიურად ისვენებს, რაც ხელს უწყობს მათს განვითარებას.



(სურ. 10. ა, ბ.)



# რამდენი არაგვია?

მორბის არაგვი, არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანნი...

ნ. ბარათაშვილი

არაგვის გახსენებაზე პირველად მცხეთა წარმოგვიდგება თვალწინ, სადაც არაგვი და მტკვარი „ჩახვეულან, თითქოს დებია...“ მაგრამ არაგვი ხომ მრავალია?

ტიციან ტაბიძე ლექსში „ორი არაგვი“ წერს:

ორი არაგვი, როგორც ორი და,
ვით დღე და ღამე — თეთრი და შავი,
ბავშვურ ტირილით ტოლად მოდიან,
რომ ერთად მტკვარში დაიღრჩონ თავი.

მურმან ლებანიძე კი ერთ უსათაურო ლექსში შვიდ არაგვზე მიგვანიშნებს:

...პატივი ეცი,
ფასი დასდე მშობლიურ არაგვს,
იზარდე აგრე,
შენი შვიდი
არაგვის ლევკად!

მოდით, ვნახოთ შვიდივე არაგვი, თუმცა ყველა არც იქნება აღნიშნული საქართველოს რუკაზე.

ყველაზე დიდი და ცნობილი არაგვი მტკვრის მარცხენა შენაკადია. იგი მცხეთასთან ერთვის საქართველოს დედამდინარეს. მაგრამ ეს მთავარი არაგვი რამდენიმე არაგვის შეერთებით იქმნება: ფასანაურთან ერთმანეთს ერთვის თეთრი, ანუ მთიულეთის არაგვი და შავი, ანუ გუდამაყრის არაგვი, რომლებიც ერთ არაგვს ქმნიან; ამ არაგვს სოფელ ჟინვალთან, იქ, სადაც ახლა ჟინვალჰესი შენდება, მარცხნიდან ერთვის ფშავის არაგვი (მალე, ჟინვალჰესის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, აქ წარმოიქმნება წყალსაცავი და ფშავის არაგვის შესართავი უკან დაიხევს), ხოლო სოფელ ორწყალთან მას მარჯვნიდან ერთვის ხევსურეთის არაგვი, ანუ ხევსურეთულა. ის აქ ფშავის არაგვს განზე სწევს, რაზეც ხალხს უთქვამს: „ხევსურეთულა ამბობდა, — ფშავის არაგვსა ვწიხლავო“.

როგორც ვხედავთ, ხუთი არაგვი მდინარეთა ერთიან — არაგვის სისტემას ქმნის.

მეექვსე არაგვი ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე თერგის აუზშია, ყაზბეგის რაიონში. თერგის მარჯვენა შენაკადია და მას სამი სახელით იცნობენ: სნოს წყალი, რაკი სოფელ სნოზე ჩამოდის, ღუდუშაურის წყალი და შავი არაგვი. აღსანიშნავია, რომ ძველად თერგსაც არაგვი ეწოდებოდა.

მეშვიდე არაგვიც ჩრდილოეთ კავკასიაში, პირიქითა ხევსურეთში, მდინარე არღუნის სათავის აუზშია.

ყველა არაგვი აღმოსავლეთ კავკასიონის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებზე იღებს სათავეს. მათი წყალშემკრები აუზები ერთმანეთთან ახლოს მდებარეობენ.

საინტერესოა, საიდან წარმოსდგა სახელწოდება „არაგვი“?

დიდი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის აზრით: „ეწოდა ესე სახელი მდინარეს თავისთავე ვინათგან დის ჩქარად, მოგვის და იმღვრევის მავად: ხედავ, არა გვის ეს წყალი ამ ხევთა?“

პროფესორ ჯ. ლომაშვილის აზრით, არაგვის სახელი რომაელთა ლაშქრობის დროიდან მოდის. „არ“ ძველი რომაულით „მთას“ ნიშნავს, ხოლო „აკვას“ (აგვას) ლათინურად არის წყალი. ესე იგი „არ-აკვა“ ან „არ-აგვა“ მთის წყალს, მთის მდინარეს უნდა ნიშნავდეს. მართლაც, ყველა შვიდივე არაგვი მთის მდინარეა.

შოთა გოზალიშვილი

## ანტიჯაგრისულები

ამას წინათ სტომატოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე ითქვა, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში კბილის ჯაგრისულების ოთხმოც პროცენტზე მეტი არასწორად არის კონსტრუირებული. იმის ნაცვლად, რომ კბილების სალად შენარჩუნებას შეუწყონ ხელი, ეს ჯაგრისულები პირის ღრუს სხვადასხვა დაავადების მიზეზი ხდებიან. როგორც წესი, ისინი მეტისმეტად მაგარი და ჩხვლეტიარიან და, ამიტომ, კბილის მინანქარს და ღრძილებს აზიანებენ. თურმე ყველაზე მეტი ვნება მოაქვს ნამდვილი ჯაგრისისაგან გაკეთებულ ჯაგრისულას (დღემდე კი იგი საუკეთესად ითვლებოდა), რადგან ხმარების დაწყებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ მიკრობების ჭეშმარიტ სანერგედ იქცევა.

## დედამიწის ბრუნვა და კლიმატი

სამოცდაათიანი წლების დამდეგს დედამიწის ბრუნვა შენელდა. ცხადია, ბრუნვის ეს ცვლილება იმდენად მცირეა, რომ მისი აღმოჩენა მხოლოდ უკიდურესად მგრძნობიარე ხელსაწყოებს ძალუძთ. თავდაპირველად ამ მოვლენის შესწავლას მხოლოდ გეოფიზიკოსები შეუდგნენ, მაგრამ შემდეგ მათ კლიმატოლოგებიც შეუერთდნენ. და აი რატომ. ფრანგი სპეციალისტების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ არსებობს კავშირი დედამიწის ბრუნვასა, ატმოსფეროს ცირკულაციასა და ამინდს შორის. აქვე უნდა ითქვას, რომ დედამიწის ბრუნვის ცვლილებათა შედეგი მყისვე კი არ ხდება საგრძნობი, არამედ თხუთმეტი-ოცი წლის შემდეგ. ამიტომ 1990 წლისათვის უნდა ველოდოთ დათბობას ჩვენს პლანეტაზე.




## ქალაქები და მათი მკვიდრნი

ერთ კვადრატულ კილომეტრ ფართობზე პარიზში საშუალოდ 32 ათასი ადამიანი ცხოვრობს, ტოკიოში — 16 ათასი, ნიუ-იორკში კი — „მხოლოდ" 13 ათას 200 კაცი.

## სულ რამდენი ენა არსებობს?

ჯერჯერობით არავის შეუძლია ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა. კოლონიური უღლისაგან აზიის, აფრიკისა და ოკეანეთის ხალხთა განთავისუფლებისა და ახალ სახელმწიფოთა შექმნის შედეგად მსოფლიოში არსებული ენების შესწავლის საკითხი სულ უფრო აქტუალური ხდება. ვდრ-ში გამოცემული ცნობარის თანახმად ამჟამად დედამიწის ზურგზე 5651 ენაა ცნობილი. 1400-ზე მეტი ენა ან აღიარებული არ არის, ან გაქრობის პირასაა მისული. ამ კატეგორიას მიეკუთვნება 250 ავსტრალიური ენა, რომლებზეც მხოლოდ 40 ათასი კაცი ლაპარაკობს. როგორც ცნობილია, ავსტრალიელი აბორიგენები ძირითადად ინგლისურად მეტყველებენ. 170 საკუთარი ენა ჰქონდათ ჩრდილოამერიკელ ინდიელებს, მაგრამ ამ ენებზე მცირერიცხოვანი ჯგუფები თუ ლაპარაკობენ, და ისიც სამოც წელს გადაცილებული ადამიანები. დამოუკიდებელ ენად ცნობილი 4200 ენიდან დღესდღეობით მარტო 500-ია შესწავლილი, 1500 კი თითქმის შეუსწავლელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იოლადაც, სწრაფადაც

ჩვეულებრივი იაპონური ლექსიკონები 8-25 ათასამდე იეროგლიფს შეიცავს, უფრო რთულები კი — 50 ათასს. მაგრამ იაპონელთა უმრავლესობამ ყველა იეროგლიფის 80-90 პროცენტი არ იცის. თანამედროვე იაპონური გაზეთები სულ ორი ათასამდე იეროგლიფს იყენებენ. იაპონურ წიგნში ტექსტი ვერტიკალურ სვეტებად იბეჭდება და მას მარცხნიდან მარჯვნივ და ზევიდან ქვევით კითხულობენ. იაპონელები თვლიან, რომ კითხვის ეს ხერხი არარაციონალურია. ამ ბოლო დროს იაპონიაში შიგადაშიგ გამოდის წიგნები და ჟურნალები, რომლებშიაც სტრიქონები ჰორიზონტალურად არის დალაგებული, რაც კითხვას აიოლებს და აჩქარებს.

## ზაზუნები უტევენ ლონდონს

ლონდონის ერთ-ერთ გარეუბანში უამრავი ზაზუნა თარეშობს. ისინი, საკვების ძებნისას, ბინებში შეაღწევენ ბოლმე, იატაკში ხვრელებს აკეთებენ, აცარიელებენ ხამზარეულოებს და, რისი შეჭმაც კი შეიძლება, ერთიანად ნთქავენ, ამასთან წარმატებით უმკლავდებიან მათ მოსასპობად ხმარებულ ქიმიურ საშუალებებს. ბოლო წლებში ბევრ ინგლისურ ოჯახში ნახავდით სუფთა, წყნარ, მცირედითაც კმაყოფილ ზაზუნებს—ბავშვებს ძალიან უყვარდათ ისინი. ქალაქურ ცხოვრებას მიჩვეული ზოგიერთი ზაზუნა გაეპარა თავის პატრონებს და ეზოებში, სარდაფებში დაიდო ბინა. შემდეგ ეს მღრღნელები საოცარი სისწრაფით გამრავლდნენ და ადგილობრივ მცხოვრებთა ბინების „ათვისებას" შეუდგნენ.

## საინტერესო სიახლენი

### მინი-ყურსასმენი

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შექმნეს მინიატურული აპარატი იმათთვის, ვისაც ყურს აკლია. იგი სულ 4 გრამს იწონის და ადვილად იმალება ყურის ნიჟარის უკან, თან საკმაოდ ხმამაღლა „ლაპარაკობს".

### უნივერსალური აგური

ამერიკის შეერთებულ შტატებში კაჟის გამოყენებით დაამზადეს აგური, რომელიც შეიძლება დაიხერხოს, ნებისმიერი სალებავით შეიღებოს; ამ აგურში ლურსმნის ჩაჭედებაც იოლია. რაც მთავარია, იგი მტკიცეა და ცეცხლგამძლე — ისეთ დიდ ტემპერატურას უძლებს, თვით ასბესტსაც რომ ამსხვრევს.

### პამიდორის მოსაკრეფი კომბაინი

პამიდორის მოსავლის აღება საკმაოდ შრომატევადია. ამიტომ უნგრეთის ქარხანა „მეზეგეპში" შექმნილმა მანქანამ დიდად გაახარა მებოსტნეები. ეს მანქანა-კომბაინი საათში 20 ტონა პამიდორს კრეფს და ახარისხებს.

### მოლაპარაკე წერილები

შვეციის საფოსტო უწყება ატარებს ექსპერიმენტს ეგრეთ წოდებული მოლაპარაკე წერილების დასანერგავად. ქაღალდის ნაცვლად იყენებენ კასეტებს, რომლებიც შეიძლება ყველა საფოსტო განყოფილებაში შეიძინოს კაცმა. წერილის ტექსტს იგი ფირზე ჩაწერს, კონვერტში ჩადებს და საფოსტო ყუთში ჩაუშვებს.

### დამსხვრეული მინისაგან

ქალაქის ნაგავში ბევრია დამსხვრეული მინა, ძველი ბოთლები, შუშის ქილები. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინჟინრებმა ამ გადაყრილი მინისაგან დაამზადეს წყალგაყვანილობის მილები საცხოვრებელი სახლებისა და სამრეწველო ობიექტისათვის სასმელი წყლის მისაწოდებლად. ეს მილები ლითონის მილებთან შედარებით გაცილებით ჰიგიენურია, თან მათ არც კოროზიის საშიშროება ემუქრება.



ავტომობილის ძნელად მისადგომი ნაწილების შეკეთებისას ძალიან მოგეხმარება მაჯაზე მიმაგრებული ნათურა. ხაზი შეგიძლია მანქანაშივე ჩართო, თუ არა და დენის წყარო — ბატარეა სხეულზე მიიმაგრო.

ლაშქრობისას საათი რომ არ დაგიზიანდეს, მას ასეთ დამცველ ბუდეს უკეთებენ: ტყავისაგან გამოჭრიან ფართო სამაჯურს, ციფერბლატის ადგილას მას „სარკმელი“ აქვს ამოჭრილი და აქ, საათის დასაცავად, გამჭვირვალე პლასტიკატი აქვს დატანებული.

თუ გინდა შეღებილი კედელი ხაოიანი გამოვიდეს, საღებავში საპონი შეურიე. სამისოდ იგი თხელ-თხელ ნაჭრებად უნდა დაითალოს და ოდნავ გადნეს (ერთი კალაპოტი სარეცხის საპონი 3-4 ლიტრ წყალში უნდა გაიხსნას) და შემდეგ შეერიოს ზეთოვან საღებავს.



თაროზე განლაგებულ საქაღალდეებს (ან გრამფირფიტებს) დანომვრა არ შველის — მაინც ერთმანეთში ირევა. დაალაგე ისინი შენს ჭკუაზე, მერე ყუთებზე რაიმე სურათის რეპროდუქცია მიაკარი, ამის შემდეგ კი სურათი დაჭერი და საქაღალდეები განაცალკევე, — ისინი აღარასოდეს აღარ აგერევა თაროზე.



სამღებრო ფუნჯი ხმარების შემდეგ რომ არ გახმეს, იგი ვიწრო და მაღალ, ცილინდრისებურ ჭურჭელში უნდა შეინახო. ჭურჭელში საღებავი ან ოლიფა უნდა იყოს ჩასხმული. ასეთი ჭურჭლის გაკეთება რკინის მომსხო მილისაგან ან თუნუქისაგან შეიძლება. აქ ფუნჯმა შეიძლება 1-2 თვესაც საღად გაძლოს.





გუაშით ხაზვისას შეგიძლია ჩვეულებრივი სახაზავი გამოიყენო, ოღონდ მას წინასწარ (როგორც სურათზეა ნაჩვენები) რამდენიმე საკანცელარიო სამაგრი უნდა მიამაგრო.





# სარჩევი


მ. გელაშვილი — და, აი, კვლავ გვიხმობს ჩვენ (ნარკვევი) . . . . . . გარეკ. 2
ზ. ტაბაღუა — უბეში ჩავარდნილი ნაკვერცხალივით (მოთხრობა, გაგრძელება) . . . . . . . 4
ლ. მეგრელიძე (დაბადების 100 წლისთავი) . . . 9
ვ. ცერცვაძე — საქართველოს პიონერიის მატიანის ფურცლები (წერილი) . . . . . . . 10
გ. ჭიჭინაძე — ტყეშრიალას სურათები (პიესა) . . 12
თ. ცაგარელი — ბანაკის დაუვიწყარი დღეები (ნარკვევი) . . . . . . . . . 14
ი. ნარიმანიძე — სტვენია (მოთხრობა) . . . . . 18
ქალბატონ ტვედლის ოქრო (ინგლისური ხალხური ზღაპარი) . . . . . . . 20
აისი . . . . . . . . . . 21
ნ. შამანაძე — ლექსები . . . . . . . 23
კოცონი . . . . . . . . . . 24
უცხოური იუმორი . . . . . . . . 25
იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს? . . . . 25
ალ. იაკობაშვილი — ჩვენი მეგობარი ჰათჰა-იოგა (წერილი) . . . . . . . . . 28
შ. გოგატიშვილი — რამდენი არაგვია? (წერილი) . 30
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . 31
საინტერესო სიახლენი . . . . . . 31
გამოგადგები . . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . . . გარეკ. 3
ფოკუსის მიღმა . . . . . . . . გარეკ. 3


გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა მერაბ აბრამიშვილისა.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ ბოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, რობერტ ლარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჟუჟუნიძე.



საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-58-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 23. 06. 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24. 08. 83 წ., ქაღალდის ფორმატი 60×90 1/3. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 1919. ტირ. 151900. ეგზ. უე 03923.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Формат 60×90 1/3, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.

Тираж 151900 экз. Цена 20 коп.


© „პიონერი“, 1983 წ.

## კროსვორდი

თარაზულად: 1. საოჯახო ნივთების შესანახი დგამი; 4. რბილი თეთრი კირქვა; 6. ცნობილი ინგლისელი მწერალი; 7. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქი; 8. ზომიერების გრძნობა, თავაზიანობა; 10. ხელოვანის შთაგონების მითიური ქალღმერთი; 11. ცხენოსნური სპორტის სახეობა; 14. სამხედრო იარაღის შესანახი საწყობი; 18. იაპონიის ქალაქი; 21. იმიერბაიკალის რუსული სახელწოდება; 24. სცენაზე ან კინოფილმში განსახიერებული დრამატული სახე; 25. აღმოსავლური საკრავი; 26. გარიყრაჟი; 27. რ. გვეტაძის ნაწარმოები; 28. კასპის რაიონის სოფელი; 29. ღვინის შესანახი და დასაყენებელი ადგილი.

შვეულად: 1. ჩოგბურთის სათამაშო მოედანი; 2. ტრანსპორტის გასავლელი გზა; 3. ცოცხალი არსება; 4. სსრკ VII სპარტაკიადის ქართველი ჩემპიონი, წყალმხტომელი; 5. იაპონიის ეროვნული სტადიონი; 9. ფულის ან წვრილმანი ნივთების შესანახი პატარა პარკი; 12. ბოლოწათლილი წვრილი ხე; 13; ჟ. ვერნის ნაწარმოების პერსონაჟი; 15. რისამე განვითარების საფეხური, პერიოდი; 16. ინდოეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი; 17. ძვირფასი ქვა; 18. მარწყვის სახეობა; 19. თეთრნარევი შავი ფერი; 20. ნახატი, მხატვრის ნაწარმოები; 22. ქიმიური ელემენტი; 23. ზღაპრული შინაარსის იგავი.



შეადგინა
ქ. ქურდოვანიძემ

## ნიუტონის ამოცანა

მინდვრად ბალახი თანაბრად ამოდის. ცნობილია, რომ 70 ძროხა ამ ბალახს 24 დღეში მოძოვს, 30 ძროხა — 60 დღეში. რამდენი ძროხა მოძოვდა ამ ბალახს 96 დღეში? (ცხადია, იგულისხმება, რომ ყველა ძროხა თანაბრად ძოვს).

## სახუმარო გამოცანა

შეიძლება თუ არა არსებობდეს ასეთი თანაფარდობა:

19 + 20 = 15



### პასუხი № 7-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

#### ფანქრის ერთი მოსმით

ფიგურა იხაზება ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები.



#### თავსატეხი

მაკრატლის ერთი გაჭრით მიიღება 5 ნაწილი და ლაგდება კვადრატი ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები.





#### გამოცანები

ტროლა. ჰადრაკი. ბუ. ველოსიპედი, ღრუბლები; ცოდნა.

ხალემონსტრაციო მაგიდაზე ოთხი ერთნაირი თალფაქი და ორი სხვადასხვა ფერის კუბიკია. ორი თალფაქი მაყურებლებს გადაეცი დასათვალიერებლად. როცა მათ უკან დაგიბრუნებენ, მაყურებელთა დარბაზს ორივე კუბიკი გადაეცი. სთხოვე რომელიმე მაყურებელს, კუბიკები ჩადოს იმ თალფაქთაგან ერთ-ერთში, რომლებიც ხელთა გაქვს. შემდეგ თალფაქები ფუძეებით შეაერთე, ორჯერ სწრაფად დაიქნიე, გახსენი ერთ-ერთი თალფაქი და დარბაზს აჩვენე: თალფაქში ორი კი არა, ექვსი კუბიკია!



## ფოკუსის მიღმა



საიდან გაჩნდა ეს კუბიკები?

თალფაქები დაამზადე სქელი ქაღალდისაგან, კაშკაშა ფერით შეღებე და ერთნაირად მოხატე, მერე სამი ერთი და იგივე ფერის, სამიც სხვა ფერის კუბიკები დაამზადე. ორი სხვადასხვა ფერის კუბიკი ცალკე დადე, დანარჩენები ერთ-ერთ თალფაქს შიგნიდან მიაწებე. წებო რომ გახმება, შეგიძლია ფოკუსი აჩვენო.

სცენაზე გამოსვლისას, ფუძეებით ქვემოთ, ხელისგულზე გიდევს ერთმანეთში ჩადგმული თალფაქები. დააწყვე ისინი მაგიდაზე და დაიმახსოვრე, რომელია კუბიკებმიწებებული.

მაყურებლები კუბიკებს რომ ათვალიერებენ, მარჯვენა ხელში იღებ კუბიკებიან თალფაქს, ფუძით ქვემოთ, ხოლო მარცხენათი — სხვა ნებისმიერ თალფაქს, ფუძით ზემოთ. მაყურებელს სთხოვ ჩადოს ორი კუბიკი იმ თალფაქში, მარცხენა ხელში რომ გიჭირავს. შეაერთე თალფაქები ფუძეებით, ორჯერ სწრაფად დაიქნიე, შეატრიალე თალფაქები ისე, რომ დამალულკუბიკებიანი ქვემოთ აღმოჩნდეს. ამის შემდეგ ზედა თალფაქი მოხსენი. ქვედაში ექვსი კუბიკი აღმოჩნდება.

ემილ კიო

მხატვარი ა. ზახაროვი

ინდექსი 76157
ფასი 20 კაპ.







მხატვარი





კამერული მუსიკა

მსუბუქი ათლეტიკა





